



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

01ანვარი  
(შპატი)  
№1 (375)  
(5773)  
2013

“מנורה”  
עיתון יהודי  
בגוריה

### ჯემალ აჯიაშვილი



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ კიდევ ერთი უმძიმესი, მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა ქართული მთარგმნელობითი სკოლის აღიარებული დიდოსტატი ჯემალ (სიმონ) დავითის ძე აჯიაშვილი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა უაღრესად დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონე შემოქმედელი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამაყად, შეურცხვენლად, ღირსების გრძობით ატარებდა ქართველი მწერლის საპატიო სახელს და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში, ამდიდრებდა რა მას მსოფლიო სიტყვაკაზმული მწერლობის უპირველესი შედეგების თარგმანებით.

ჯემალ აჯიაშვილი დაიბადა 1944 წლის 23 მარტს ქალაქ სენაკში. 1961 წელს დაამთავრა სენაკის მე-2 საშუალო სკოლა. 1962 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე (ირანული ფილოლოგიის სპეციალობით), რომელიც 1967 წელს დაასრულა.

უმალესი განათლების მიღების შემდეგ ჯემალ აჯიაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა ირანში სპარსული ენის თარგმნად, იყო საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ-ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროსი მეცნიერ-რედაქტორი, ისრაელში საქართველოს ელჩის მოადგილე. სადაც კი იმუშავა, ბატონ ჯემალს ყველგან გამოარჩევდა პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის საოცარი გრძობა, კეთილშობილება, კომუნიკაბელურობა, თანადგომისა თუ თანაღმობის უნარი...

ჯემალ აჯიაშვილის ლიტერატურული დებიუტი 1966 წელს შედგა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული ალმანახ „პირველ სხივში“

გამოქვეყნდა სპარსული პოეზიის კლასიკოსების რუდაქისა და აბდორ-რაჰმან ჯამის პოეზიის მისეული თარგმანები. მას შემდეგ ჯემალ აჯიაშვილი უაღრესად ნაყოფიერ, შრომატევად ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. დიდი წარმატებით თარგმნიდა ებრაული, სპარსული, ესპანური, იტალიური, ძველევგვიპტური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, იაპონური, რუსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს.

ბიბლიური ფსალმუნები, შუა საუკუნეების ებრაელი პოეტების (იეჰუდა ჰალევი, მოშე იბნ ეზრა, შელომო იბნ გებროლი, შემუელ ჰანაგიდი, იეჰუდა ალხარიზი, აბრაჰამ იბნ ეზრა, ემანუელ რომაელი) პოეზიის ცალკეული ნიმუშები, ომარ ხაიამისა და ფირდოუსის ლექსები, უილიამ შექსპირის პოემები, ფრანჩესკო პეტრარკას, ანტონიო ვივალდის, მიქელანჯელო ბუონაროტის სონეტები და ლექსები, ძველევგვიპტური სიმღერები, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, რაინერ მარია რილკეს, ნელლი ზაქსის, პიტერ ჰუხელის ნაწარმოებები, ბორის პასტერნაკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ოსიპ მანდელშტამის, სერგეი ესენინის, იუსტინას მარცინკიავიჩუსის, იანკა კუპალას, ვაჰან ტერიანის ლექსები, — აი, იმ ავტორთა არასრული სია, რომელთა ღრმადორიგინალურ, სიბრძნითა და მშვენიერებით საქველთხოვნი სამყაროს აზიარა ჯემალ აჯიაშვილმა ძალზე მომთხოვნე და გემოვნებიანი ქართველი მკითხველი.

თავადაც ჩინებული პოეტი გახლდათ. მისი ლექსები თუ სონეტები ორგანულ გაგრძელებად გვესახება ამ ჭეშმარიტი შემოქმედის მთარგმნელობითი საქმიანობისა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჯემალ აჯიაშვილის თანამშრომლობა ქართულ თეატრთან. თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში დიდი წარმატებით იდგებოდა მის მიერ თარგმნილი ტირსო დე მოლინას „მწვანეშარვლიანი დონ ხილი“, კარლო გოცის პოემა — ზღაპარი „ლურჯი ურჩხული“, მონძაემონ ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“. ამ პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი მარჯანიშვილებს იაპონიაში საგასტროლოდ ჰქონდათ წაღებული და დიდი წარმატებაც ხვდა წილად.

ჯემალ აჯიაშვილის თარგმანებს ჭეშმარიტი შემოქმედის, ჭეშმარიტი პროფესიონალის ხელი ატყვია. ამას კი, უპირველეს ყოვლისა, ის გარემოება განაპირობებდა, რომ ნამდვილი პოლიგლოტი იყო. ჩინებულად ფლობდა თითქმის ყველა იმ ენას, საიდანაც თარგმნიდა, ღრმად წვდებოდა სათარგმნი მასალის ყველა ნიუანსს, რიტმულ თუ მუსიკალურ-ეფფონიურ სტრუქტურას, მხატვრულ ქსოვილს. ამავე დროს მან გაიაზრა ქართული ლიტერატურის, ქართული ენის უძველესი და უმდიდრესი გზა და ესეც იყო მისი მთარგმნელობითი წარმატებების საიდუმლო. ჯემალ აჯიაშვილი თავის მოღვაწეობით ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტი მთარგმნელი დიასაც რომ მედიუმია იდუმალებით მოსილ უმშვენიერეს სამყაროსა და მკითხველს შორის, რომლის გარეშეც ეს უკანასკნელი ვერანაირად ვერ შეძლებდა საკუთარი თვალსაწიერის გაფართოებას, ზიარებას მანამდე უცნობ ზღაპრულ სანახებთან.

როგორ შეიძლება თვალთახედვიდან გამოგვრჩეს ქართულ-ებრაულ ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მრავალმხრივ საყურადღებო ისტორიული ესსე „გამოიღვიძე, ქნარო“. თითქოს ერთი ამოსუნთქვით შექმნილი ამ ნაწარმოების მიხედვით ბატონმა ჯემალმა შექმნა პიესა-მონოლოგი, რომელიც კოტე მახარაძემ დადგა ერთი მსახიობის თეატრში. საგულისხმოა, რომ ამ პიესის პრემიერა თელ-ავივში გაიმართა და დიდი წარმატებაც ხვდა წილად. ამავე დროს, ჯემალ აჯიაშვილი არაერთი უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი პუბლიცისტური წერილის ავტორი გახლდათ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯემალ აჯიაშვილი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარედ და კულტურის კომისიის წევრად, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის კათედრის გამგედ, ებრაული წარმოშობის პარლამენტართა მსოფლიო გაერთიანების, საერთაშორისო ებრაული სათვისტომოების საერთაშორისო გაერთიანება „ვადის“ პრეზიდენტის, ჟურნალ „საუნჯის“, გაზეთების „ალია საქართველოდან“ და „ივერიის“ სარედაქციო კოლეგიების წევრად...

მისი ღვაწლი და რუდუნება დაფასდა. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, ისრაელის პრეზიდენტის ეზერ ვაიცმანის ღირსების სიგელით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო, ივანე მაჩაბლის, „საბას“ და ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიები. არჩეული იყო თბილისის საპატიო მოქალაქე.

ჯემალ აჯიაშვილი ბიბლიის ერის შვილი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ თავდავინყებით უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი, თავადაც ქართველი მწერალი და მოღვაწე გახლდათ, არასოდეს ავიწყდებოდა ბიბლიური შეგონება „თუ დაგივინყო, იერუშალაიმ“... და რა სიმბოლურია, რომ სწორედ თავისი დიდი წინაპრების მინაზე დალია სული და იქ ჰპოვა უკანასკნელი ნავთსაყუდელი.

ჩვენ, მის მეგობრებსა და კოლეგებს, ნუგეშად ისლა გვრჩება, რომ მისი მშვენიერი თარგმანები დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგვახსენებს ამ დიდი შემოქმედის ნათელ სახეს, რომელიც ბოლომდე დაიხარჯა ქართული მწერლობისა და ხელოვნების სამსახურში.

საქართველოს მწერალთა კავშირი



# ...მე – საფეხურზე გადმოვკიდე

პირველი სიტყვა მუდამ ძნელია, ნელა მოდის – ნელა, ზოგჯერ დიდხანს ელიან; ან რო მოვიდეს... ქარს ვერ დაიჭერს, ვერ დააბრუნებს, ანდა რა მექარება? არ მექარება არც ერთი სიტყვა...

ჯემალ აჯიაშვილი გარდაიცვალა, ლექსის დიდოსტატი წავიდა. რა ვთქვა...?

„ასე გამენდო უფალი ჩემი“ გადავიკითხე; მერე – „ვარსკვლავთა ჩრდილში მალაღობა თანა“; მერე – ჩიკამაცო, – ისევ მოვხვდი ციურ ბადეთა კუნძულზე... აი „თეკლიმი“, დიას, „ფსალმუნნი“, „ცისკარს“ რომ იწყებდა მთელი წელი, ახალი ათასწლეულის ზღურბლზე. გადავიკითხე ჯემალისადმი მიძღვნილი ჩემი ესსეც – „აიქა“ (ჟურნ. „ჩემი მწერლობა“, 2010 – 9). აქ ყველაზე ჯემალ აჯიაშვილია – არსად წასულა.

მწერალი არ მიდის, ანდა ვერ მიდის, თან სულ გზაშია – სულ მოდის. ეს კი ატიპიური და ატიპიური პარადოქსია, ანდა მთ/ავარია.

მე კი სად წავიდე... დაგვოდილოვ, ვერ ვიპოვე ადგილი – პირველი სიტყვა, მთავარი სიტყვა; ავარია კი მოხდა, ანდა – მთ/ავარია.

ავარია კი არა, ეს იქნებ ავტოავარიაც არის. არა საგზაო შემთხვევა, არამედ ავტობიოგრაფიასავით საკუთარი, პირადი ავარია, თავად რომ მოიწყო – ჯანი გაიგდო იმდენი იმუშავა. სულისთვის წერდა, საქვეყნო საქმესაც არ აკლდებოდა... და მაინც ასე ეთქმოდა: „...დავაგვიანე... დავაგვიანე... სამარადისოდ დავაგვიანე...“ ( მოშე იბნ ეზრა, ჯ. აჯიაშვილის თარგმანი). ხო, ჯემალი ყველაზე ავგვიანებდა, მარტო პოეზიას ეშურებოდა, დანარჩენს ეშორებოდა. შორს შარისაგან – ასე ცხოვრობდა. რამდენმა კეთილმა კაცმა შეაშველა ხელი... ისე ვერც იტყოდა „რა ოქროები ავიმთავორე?“ ( აბრაჰამ იბნ ეზრა). მის ამ თარგმანში მისივე ფიქრი ისმის. ხელი შეაშველაო – იტყვი და... ზოგი იქნებ ს/არფის გამოც შეეხიდა, რომ შეეხედა-დაენახა რამე სათავისოდ, მაგრამ არფას ვინ გაატანდა. არფიანად დგებოდა და არფიანად წვეებოდა – იწვეებოდა მალაღობა თანა – ჰანაგიდთან თუ გებიროლთან, ეზრასთან თუ ჰალეფთან, ალხაზირთან, რომაელთან და რომელთან გინდა: დიას, მიქელანჯელოსთან, დანტესთან და პეტრარკასთან, ვივალდისთან, შექსპირთან და იმ პირთან,

„ვინც პოეტის მარადისი აღტაცება იცოდა“. ასე ფიქრობდა და ასეც სწერდა: „ნებისმიერი პოეტი, მეტადრე მთარგმნელი, ნებისით თუ უნებლიეთ, „სულთა მიგრაციის“ კანონს ემორჩილება და დროსა და სივრცეში მოგზაურობს. და შენც – თითქოს წარმოსახვითი არგნით ხელში დააბიჯებ ათასწლეულებში და ჟამთა წილად განახულ საგანძურს აუნჯებ: ხან ვის მიუკაცუნებ კარზე და ხან – ვის... თუ გამოგხედეს დანტემ, პეტრარკამ, შექსპირმა, თუ მათთან შემოქმედებითი დიალოგი მოხერხდა, ხომ კარგი, თუ არადა, – რა გაეწყობა.“

ეს – „რა გაეწყობა“ ყასიდად უფრო დაწერა, თორემ თვითონაც კარგად იცოდა თავისი თავის და დროის ფასი. მე კი, ამ წერილისთვის პირველ, მთავარ სიტყვას მგონი უშედეგოდ ვეძებ, დროს ვკარგავ. პირველი სიტყვის ადგილი „მუდამ უკვე“ დაკავებულია.

დაიან ემეთ – აი, პირველი სიტყვა, ებრაულში ადამიანის გარდაცვალების გამო რომ წარმოსთქვამენ.

სამართალი ჭეშმარიტია – ქართულად დაწერე ეს პირველი სიტყვა და შეშფოთდა ჩემი მეამბოხე, „ოხერი“ და მკრეხელი გონი. მგონი გაჩუმება ჯობია... მოდი და დამშვიდდი, როგორი სინტაგმაა? – შეუვალი და ურყევი. ასე არსად დაახლოებულან სიკვდილი და ჭეშმარიტება. განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

როგორ? რა დროს ავარია იყო? იცით კიდევ რას დაწერდა? ან როგორ დაწერდა ჯემალ აჯიაშვილი სხვა „სიკვდილის ელგეებს“? სხვა „ზამთრის ლიტანიას“? ანდა, სულაც – რაბი პაის, იეკუთიელის და ძის დატირების შემდეგ – „ჯემალ აჯიაშვილის დატირებას“?

„ნუ იქნები მართალი, იყავ ბრძენი“ – მეუბნება ჯემალი, ე. მერამდენედ...

ბოლო ხანებში კი ლექსებს ვეუბნებით ერთმანეთს – ტელეფონში, სკაიპში – მაგრამ ეს უკვე მოგონებად იქცა. უცნაურია არა?, ისრაელიდან თბილისში ისმის „ალუდა ქეთელაური“ და არაბული პოეზია დედანში. დიდებულად კითხულობს ჯემალი. მეც, ჩემი „ოთხი ლაპარაკის“ ფრაგმენტს

ვუკითხავ. კიდევ ერთხელ ვისმინ მის შეფასებას (აქ გამოვტოვებ), კიდევ ერთხელ მოხოს წიგნის გაგზავნას, კიდევ ერთხელ გადავდე და...

ვწუხვარ რომ არ ჩავწერე ჩვენი ეს, თითქმის ერთსაათიანი, ურთიერთშეხმიანება. ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო.

მესამე ათასწლეულის მეცამეტე წლის პირველ შაბათ დღეს აბრძანდა ჯემალ – სიმონ აჯიაშვილი და შეემატა ქართულ პარნასს, რაღა თქმა უნდა – თავის ხორციელ და სულიერ წინაპრებს, რომელთა შორის ცხადად ვხვდავ ბორის გაპონოვსა და ნისან ბაბალიაშვილს.

კვირას დილით კადიში წავიკითხე ჯემალის სახელზე. „სიდურის“ ტექსტის ერთ ფრაგმენტს ხელახლა დაეუბრუნდი და მერე შალომ დავიდის ქართული თარგმანიც გავიხშიანე: „დაე, იყოს შენი ნება, უფალო, ჩვენი ღმერთო და ჩვენი მამების ღმერთო, რომ გვისხნა, დღეს და დღენიდაც, კანდიერთაგან და კანდიერებისაგან, ბოროტი კაცისაგან, ავხნე ქალისაგან, ბოროტი წადილისაგან, ავეგული მეგობრისაგან, ბოროტეული მეზობლისაგან, ბედითი ხიფათისაგან, ავთვალისაგან, ენაბოროტისაგან, ცრუმოწმობისაგან, ხალხთა სიძულვილისაგან, ცილისწამებისაგან, უცნაური სიკვდილისაგან, ბოროტეულ სნეულებათაგან, ცუდი შემთხვევებისაგან, მძიმე მსჯავრისაგან, მძიმე მოქიშისაგან, რომელიცაა აღთქმის ძე, ან არ არს ძე აღთქმისა (მას მნიშვნელობა არა აქვს), და ჯოჯოხეთის მსჯავრისაგან“.

პოეტური ცხოვრების ნახევარგზაზე კაცის წასვლა – ეს არის ავარია; ავარიის გარეშე არც პოეზიაა – პოეზიაც უარზეა უავარიოდ; პოეზია კი მთავარია, ანდა მთ/ავარია. ეს კოდები გოდებოთ და ოდებით ედებთან „ყოფიერების სახლს“ და გვედავებთან ჩვენ, მის მდგომარეობს (თუ სტუმრებს). ამ დარდიანი დრამის გამოძახილად აბრაჰამ იბნ ეზრა და ჯემალ აჯიაშვილი „მუდამ უკვე“ იტყვიან:

„...ასე მოგელტვი, მაგრამ ამოდ: ვეღარც ხიდი ვცან, ვეღარც – მეხიდე, დაბლით გზა დაშთა, მადლით – საბაოთ, მე – საფეხურზე გადმოვკიდე...“

შოთა ოსტანაშვილი

რა საშინელებაა... ჩვენი ძვირფასი, საყვარელი ჯემალი აღარ არის!

კეთილი იყოს მისი ხსოვნა! ამას წინათ ვნახე იერუსალიმში. ვაპირებდი, ვერ შევძელი დარეკვა – მინდოდა ჩვენი საზაფხულო გეგმები განგვეხილა. ჯემალი ხომ ჩვენი აკადემიური საბჭოს წევრი გახლდათ. გვინდა ზაფხულში ჩვენი სტუდენტები საქართველოში ჩამოვიყვანოთ. გთხოვთ გადასცეთ ჩემი, ჩვენი კოლეგების – რუსეთში, უკრაინაში, ლიტვაში, ლატვიაში, გულისთადი თანაგრძნობა მის ოჯახს.

ალმონდა, რომ ისრაელის საუკეთესო მედიცინაც კი უძლურია ამ საშინელი ავადმყოფობის წინაშე, რომელსაც ის ებრძოდა.

ვიქტორია მოჩალოვა პროფესორი, მოსკოვი.



Мы с глубокой скорбью восприняли известие о безвременной кончине Джемала Аджиашвили.

Добрый друг и верный соратник. Джемал был незаменим для всех нас, которые черпали из его богатейшего жизненного опыта и глубокого знания еврейской и грузинской культуры наше каждодневное вдохновение.

Мы понимаем, что такая утрата невосполнима и молим Всевышнего ниспослать утешение всем родным и близким покойного.

Михаил Членов, Иосиф Зисельс, Роман Спектор, Наталья Шмидт

## ძვირფასი მეგობრის ხსოვნას

ელდისმომგვრელი გახლდათ ჩემთვის სატელეფონო ზარი ჯემალ აჯიაშვილი უკანასკნელ დღეშიაო, საღამოს კი მოსკოვიდან მიღებულმა წერილმა ყველა იმედი გადამინწურა. მოსკოვის აკადემიურ წრეებში ცნობილი ქალბატონი ვიკა მაჩალოვა სასონარკვეთილი წერდა: ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა აღარ გვყავს „სეფერის“ აკადემიური საბჭოს წევრი, ყველასთვის საყვარელი ჩვენი საერთო მეგობარი ჯემალ აჯიაშვილი. გადავიკითხე მის ოჯახს ჩემი გულისტკივილი და სამძიმარი. გიგზავნი სულ ახლახანს იერუსალიმში გადაღებულ მის და მისი ვაჟის სურათებს...

ჯემალი უკეთილშობილესი ღვთისმოსავი პიროვნება იყო, რომელშიც კონცეტრირებული გახლდათ ებრაული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი თვისებები: სიკეთე, ნიჭი.

ბატონი ჯემალი 1994 წლის აგვისტოში „სეფერის“ დამფუძნებელ კონგრესზე გავიცანი ( ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია აერთიანებდა ებრაული ცივილიზაციით დაინტერესებულ მკვლევარებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ) განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს ეს ორგანიზაცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში...

რეგულარულად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესები იუდაიკაში, რომლებსაც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ამშვენებდა ბატონი ჯემალ აჯიაშვილი.

რაოდენ მეამაყება, რომ მასთან ერთად ვიყავი თანამომხსენებელი იუდაიკის კონფერენციებზე. ქართველ ებრაელთა ღირსეულ წარგზავნილს დიდი სიყვარულითა და სითბოთი იღებდნენ, ასევე მისგან ისმენდნენ რჩევა-დარიგებებს, თხოვდნენ

სამეცნიერო ხელმძღვანელობას. რაოდენ დიდი დანაკლისია ჩვენთვის მისი მონაგებრივი წასვლა ამ ქვეყნიდან. მან ხანმოკლე სიცოცხლე უმნიშვნელოდ გაატარა, ის იყო დიდებული პოეტი, მწერალი და მეცნიერი, რომელსაც სათანადოდ დააფასებს შთამომავლობა .

P.S. თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაბუქდად მომზადებულია, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების კრებული XXVII, რომელიც ეძღვნება გამოჩენილი მეცნიერის – ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას.

გურამ ლორთქიფანიძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი



მაცვალა გონაშვილი

ჯემალ აჯიაშვილს

როცა სამყარო ხდება გულცივი, პოეტის სული რა ტკივილს ითმენს, თავსასთუმალთან გეჯდა ბულბული და გკარნახობდა ღვთაებრივ სიტყვებს.

მხიბლავდა შენი სიღარბაისლე და სიბრძნით სავსე შენი თვალეზი, როგორც სალბუნი, სულეზს კურნავდა შენი ქართულად ნათარგმანები.

კიდევ კარგი, რომ ვერ გნახე მკვდარი, ასე ცოცხალი უნდა მტკიოდე და დაჭრილ გულზე, როგორც ნუგეში ცრემლის მდინარედ გადადიოდე.

შენს ორ სამშობლოს როგორ დააკლდი ჩემი ცრემლები უკეთ გეტყვიან, გადავშლი შენს წიგნს, ქართული სიტყვის ხოდაბუნებში ვინყებ ხეტიალს.

აუწყვია უფლის სალარო

ნარწერა ჯემალ აჯიაშვილის წიგნზე „შუა საუკუნეების ებრაელი პოეტები“.

ცის კამარათა მიღმა და მალა, ძევს განძი — უფლის ნათილისმარი, აბორგებული, როგორც ზღვის ტალღა, მიუნვდომელი, როგორც სიზმარი, მინც მანვალეზს სურვილის მახრა, და ვერ მიშველის ასი მისანი! რა არ ვეცადე და არ ვილონე, ვიყავ ვაჭარი, ავი მეკობრე, რა ფანდი, ლინგი არ მოვიგონე, რა ხერხი აღარ დავიმეგობრე! დრო-ჟამი სწრაფად მიქანაობდა, მებრძოდა, მხრავდა, მღეჭდა, დაობდა, ხან ნანასავით მინანაობდა, ხან მზის ნათელში მიბანაობდა! სურვილს სამოსი შემოეძენდა, მინც მზაობენ შორი ლანდები, — რაც მეტი ვჩხრიკე, უფრო მეძენელა უძველესი ფოლიანტები! შეიქაქანე, დელო ნიაგო, შენ ერთი დამრჩი მესაიდუმლე, ბოლომდე უნდა ველოლოლიავო სურვილს, რომელიც ვერ ავისრულე! „აუწყვია უფლის სალარო, სიტყვის უძირო მიმორხევეანი, უნდა ცხრა კოკა ოფლი დაღვარო, ისე დანურო გულის მტევანი!“

ელგუჯა ლეზანიძე

აღარ არის ჯემალი. ჩემთვის ეს იყო შემადრწუნებელი ცნობა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ დასასრულს ყველა ველოდით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დეკემბრის ბოლოს საავადმყოფოში ვინახულე მერი ამშიკაშვილთან ერთად. ის უკვე აღარ იყო იმ ჯემალის სახე, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში ვიცნობდი, ეს უკვე სულ სხვა ჯემალი გახლდათ.

ჯემალი იყო დიდი ფენომენი, რომელმაც თავისი კვალი გაავლო არა მხოლოდ ქართულ პოეზიაში, ქართულ-ებრაულ ურთიერთობაშიც.

მისი თარგმანები ებრაული პოეზიისა დიდი მოვლენაა. ვიზიარებ ოჯახის მწუხარებას. მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი მისი მეუღლის — მანანას გმირობას. იგი ორი წლის განმავლობაში იბრძოდა ჯემალის სიცოცხლისათვის.

ჩემთვის დაუვინყარია ჯემალის ესე, რომელიც 1988

ჩემო ჯემალი!

შემზარავი და გამაოგნებელია შენზე წარსულ დროში ლაპარაკი.

ამიტომაც ისე მოგმართავ, თითქოს ახლაც ქვიშხეთში დიდი დიმიტრი ყიფიანისეულ მამულში ვსხედვართ და იქიდან დანახულ საქართველოს ვეფერებით. არადა, როგორ გიყვარდა საქართველოც, ქართველებიც, როგორ იღვწოდი ქართული მწერლობის სადიდებლად, როგორ ამდიდრებდი მართლაც რომ პირველხარისხოვანი თარგმანებით. აკი საკუთარ თავსაც ქართველ მწერლად, ქართველ საზოგადო მოღვაწედ მიიჩნევდი. საქართველოს პარლამენტის წევრი იყავი. ხალხი შავი დედალივით გაკეთდა იმ საკანონმდებლო ორგანოში, შენ... შენ იმ მცირე თანხის დაზოგვაც ვერ მოახერხე, სამკურნალოდ რომ გყოფნოდა. სუფთა იყავი, სპეტაკი, ქათქათა სული გქონდა და ვიცი, ბევრი ამით გაღიზიანებულიც კი იყო და ჩუმად ქირქილებდა...

მასხოვს ავადსახსენებელი 2007 წელი. ბევრისთვის ტრაგედია 7 ნოემბერს მოხდა, ჩვენთვის კი ის უფრო ადრე, 21 აგვისტოს, დაიწყო, როდესაც „ძღვეამოსილი“ ოპერაცია ჩაატარა იმდროინდელმა ხელისუფლებამ. მთელ სიგრძეზე გადაიკეტა მაჩაბლის ქუჩა და სამამა ნიღბიანმა სპეცრაზმელმა შტურმით აიღო მწერალთა კავშირის სასახლე. შენი სიტყვები მასხოვს, მა-

წელს ისრაელში კოტე მახარაძემ გაახმოვანა, მერე კი ჟურნალ „ხელოვნებაში“ დაიბეჭდა. „გამოიღვიძე, ქნარო“ ასე ერქვა ამ ესსეს.

ჯემალი თავად იყო ქნარი, რომელსაც სიმები დააწყდა. გახსოვთ ალბათ, ეპიზოდი ქრისტიანულ მონასტერში ლოცვად დამდგარი იუდეველებისა. იგივე ესეში ჯემალს მოაქვს სტრიქონები ტიციან ტაბიძის ლექსიდან:

ბაბილონიდან ახლო იყო მაინც სიონი, მოჰქონდათ სუნთქვა კედრონისა უდაბნოს ქარებს

ყურში ჩამესმის ჯემალის ლექსების კითხვა.

თავისი შემოქმედებით მან ძეგლი დაუდგა ქართულ-ებრაულ თემს.

აკადემიკოსი იცხაპ დავიდი ვაშინგტონი

შინ ნათქვამი, ყოველივე ეს ნაბუქოლონოსორის საქციელს მაგონებს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 586 წელს ებრაელებს სოლომონის ტაძარი რომ დაუნგრიაო. ფარაონს მაშინ სურდა, რომ ებრაელებს საკუთარი ღმერთი, საკუთარი არსი დაევიწყებინათ და გადაგვარებულიყვნენო. ასე იქცევა დღევანდელი ხელისუფალიც, სურს ჩვენ, ქართველმა მწერლებმა, დავივიწყოთ ის ტრიადა, რამაც საუკუნეების ლაბირინთებიდან გამოგვალწვევინა, ტრიადა, რომელსაც მამული, ენა, სარწმუნოება ჰქვია. კი გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც ვერ გაგვტეხენ, ვერ დაგვაბეჩავენ, ქართული სული ისევე იკვილებსო.

დღემდე მახსოვს შენი ეს სიტყვები, ჩემო უფროსო მეგობარო. ეს ბრძენი კაცის სიტყვებია, ბიბლიის ერის შვილის წინასწარმეტყველებია, რომელიც სულ ახლახან ახდა.

ერთი რამ იცოდე, დიდო მწერალო და მთარგმნელო, როგორც ეგვიპტელმა ფარაონმა ვერ შეძლო ებრაელთა გონებიდან საკუთარი სამშობლოს ხსოვნის ნაშლა, ისე საქართველოს უკვდავი სულის იდუმალ ხვეულებში, რომელიც მისი უკეთესი შვილების სახელებს ინახავს, ერთ-ერთი საპატიო და სამუდამო ადგილი შენთვისაც გამოინახება, ჩემო ჯემალი!

ღმერთმა მარადიულ ნათელში გამყოფოს!

ზაალ გოტკოველი

გაზეთ „მენორას“ რედაქცია იუნყება, რომ ისრაელში გარდაიცვალა გამოჩენილი მთარგმნელი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე <b>ჯემალ აჯიაშვილი</b> და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის გამგეობა იუნყება გამოჩენილი პოეტის, მთარგმნელის, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მკვლევარის <b>ჯემალ აჯიაშვილის</b> გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
სოსო აჯიაშვილი ღრმა თანაგრძნობას უცხადებს მანანა, დიმიტრი და ლევან აჯიაშვილებს მეუღლისა და მამის <b>ჯემალ აჯიაშვილის</b> გარდაცვალების გამო.
ციალა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები, ლანა, გურამ ხარაზები, რობერტ მიხელაშვილი იუნყებიან, რომ ისრაელში გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის სამგზის მოწვევის დეპუტატი, პოეტი <b>ჯემალ აჯიაშვილი</b> და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოთხოვება

კულტურულ ცხოვრებას და დღეს, როდესაც დადგა საქართველოში ნიჭის დაფასების დრო, როდესაც ამ შენობაში 7 წლის განმავლობაში ქართველ მწერლებს არ უშვებდნენ, ბიძინა ივანიშვილის, ამ კაცის დამსახურებით, რომელიც დღეს ჩვენს გვერდით დგას, ეს შევძელით. დიდი მადლობა, ბატონო ჯემალი, რომ არსებობდი და ჩვენს გვერდით იდექი ჭირსა და ლხინში.

**ბინა ხალვაში:** რამდენიმე ხნის წინ გახლდით წმინდა მინაზე. იქ გამოვემშვიდობე ჩემს მეგობარს, უდიდეს პოეტს და საზოგადო მოღვაწეს, მე ვიცოდი, რომ მან გააცისკროვნა ქართული პოეზია, მრავალსაუკუნოვანი ქართული სიტყვიერება და ჩაენერა მრავალ გამოჩენილ ქართველ ებრაელთა შორის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

**გივი შაჰნაზარი:** იგი მთელი სამყაროს მოქალაქე იყო. ჩვენ ბიბლიის შვილები ვართ და ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში პოეზიის მწერალები იყო დაპყრობილი, ჯემალ აჯიაშვილი საქართველოში რომ გარდაცვლილიყო, ღმერთთა მოწინა, რომ ბევრი მოინდომებდა მთანმინდაზე მის დასაფლავებას. ნათელში იყოს მისი სული!

**მარიანე ბრეზგაძე:** ჩვენ ვეთხოვებით ორი ერის შვილს — ჯემალ აჯიაშვილს, მის შემოქმედებაზე იმაზე მეტს ვერავინ იტყვის, რაც თვითონ თქვა თავის შემოქმედებაზე. იგი დიდი მთარგმნელი იყო და ამავე დროს ამავე რანგის პოეტი.

**ლამა შვანია:** ბატონ ჯემალთან ურთიერთობა

სტუდენტობიდან მქონდა, ბევრმა არ იცის, რომ იგი დიპლომატიც იყო. იყო თავმდაბალი თავის სამსახურში. ძალიან უჭირდა სტანდარტული სტატიების თარგმნა, მისთვის ეს არ იყო საინტერესო. თუმცა, მისი საგანულო სტატიების თარგმანები ცალკე თემაა. ჯემალს არ შეეძლო უბრალო სიტყვის თქმა, იგი გადაასხვეფებდა და სხვანირად დაწერდა, აზრს რა თქმა უნდა, არ შეცვლიდა, თუმცა, საბოლოოდ საგანულო სტატიებს ლიტერატურულ ნაწარმოებს ამსგავსებდა. ჯემალი ეტრფოდა საქართველოს. 28 დეკემბერს კათოლიკოს პატრიარქის იუბილისადმი მიძღვნილი სპეციალური გაზეთი გამოვიდა, მე გადავავაზე უწმინდესის ფოტოები და სხვადასხვა საარქივო მასალა უწმინდესის მოღვაწეობიდან, რადგან მთხოვეს სტატია პატრიარქის შესახებ. ჯემალი უკვე ცუდად იყო, მაგრამ თავისი ვაჟის დახმარებით მაინც დაწერა სტატია „სულიერების მწყემსი“, რომელიც ვთარგმნეთ ინგლისურად და ივრითულად. ფაქტიურად ეს მისი ბოლო ნამუშევარი იყო და ეძღვნებოდა იმ ადამიანს, რომელსაც ეტრფოდა, ისრაელში გამგზავრებამდე პატრიარქს დაემშვიდობა. საქართველოდან წასვლა ძალიან უჭირდა. მაშინ მე მას ვუთხარი შენ არ კარგავ საქართველოს, შენ უბრალოდ სამკურნალოდ მიდიხარ, თუმცა, როგორც ჩანს, მას წინათგრძნობა ჰქონდა, რომ საქართველოს ვეღარ იხილავდა. ღმერთმა აცხოვოს მისი წმინდა სული!

ინოს შავაძე



# საქართველოს ებრაელობა. წარსულიდან მომავლისაკენ

## საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შიშის ათი წლისთავისათვის

(დასაწყისი „მ“ №14,15,16-17)

ბურამ ბათიაშვილი

### მნიშვნელოვანი ყინვების წინა და შემდეგ

18 დეკემბერს აბრამ საპირმა, შაბთაი ცურმა და ამ სტრიქონების ავტორმა, მოსკოვში მოვიყარეთ თავი. მოსკოვში უკვე მუშაობდა სემ კონგრესის წარმომადგენლობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერთობ კეთილშობილი პიროვნება ბესო (ბესიკო) შალვაშვილი, მას კი გვერდით ედგა მისი მეგობარი – ამირან მიხეილაშვილი. ბ-მა ბესიკომ და ამირანმა გაუკეთეს ორგანიზაცია მოსკოვში ქართველ ებრაელობასთან შეხვედრას. ამ შეხვედრის ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანა ზურაბიკო მირილაშვილმა. დიდძალი ხალხი მოვიდა. ვისაუბრეთ სამივე შალიახ-ნარგზავნილმა. მოსკოველთაგან სიტყვები წარმოთქვეს: გურამ ნამთალაშვილმა, შალვა მოშიაშვილმა, როლანდ ციციანიშვილმა, ბესო შალვაშვილმა, ხახამ აბრამმა, ილო ჩიკვაშვილმა, სულო მოშიაშვილმა, თენგი იაკობაშვილმა, მიხეილ ბაბალიკაშვილმა.

გამომსვლელნი საუბრობდნენ იმ პრობლემებზე, რომლის წინაშეც მოსკოვის ქართველი ებრაელობა იდგა: ბესო შალვაშვილი სწუხდა იმის გამო, რომ ამ ქალაქში ქართველ ებრაელობას არ ჰქონდა სამლოცველო – ბეთ ქნესეთი და მოსკოვის დიდ ბეთ ქნესეთში იყვნენ შეხიზუნული.

ხახამმა აბრამ ელაშვილმა აღნიშნა, რომ მოსკოვში ბევრი ეკონომიურად მოძლიერებული ქართველი ებრაელია, მაგრამ თითქმის არც ერთი არ მოვიდა შეხვედრაზე. ეს კი მიუღებელიაო, სავსებით სამართლიანად ასკვნდა იგი.

განიხილეს წესდების პროექტი: გურამ ნამთალაშვილმა, ანგანსვენებულმა თენგი იაკობაშვილმა გამოთქვეს საყურადღებო მოსაზრებები წესდების ახალ ვარიანტზე, რომელიც სტამბურთი წესით დაგეგმვდა და თან წავიღე, რათა სავიზიტო ქალაქების ქართველ ებრაელთა ელექტორატი კარგად გასცნობოდა მას. ჩვენი მათთან შეხვედრის ერთ-ერთი მიზანი ხომ სწორედ ამ ელექტორატის მოსაზრებათა გაცნობა გახლდათ.

კონგრესის განყოფილების მიერ გამართულ ამ შეხვედრაზე, ჩვენს თვალწინ, დემოკრატიული წესით აირჩიეს ყრილობის დელეგატები: როლანდ ციციანიშვილი, სულო მოშიაშვილი, თენგი იაკობაშვილი, ილო ჩიკვაშვილი, გურამ ნამთალაშვილი, კობა დავარაშვილი, დათო შალოლაშვილი, მერაბ ელაშვილი, დანიელ პაპიაშვილი, ბესო შალვაშვილი, ხახამ აბრამ ელაშვილი, ამირან მიხეილაშვილი.

შეხვედრამ კარგად ჩაიარა, მაგრამ ერთი გარემოების გამო მაინც გულწაკუდული ვიყავი: ხახამ აბრამისა არ იყოს, არსად სწანდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ძალუძდათ სერიოზული ფინანსური თანადგომა გაენიათ კონგრესისათვის.

ამის თაობაზე მოსკოვიდანვე მივწერე გაბრიელ მირილაშვილს – ასეც ვიყავით შეთანხმებული, რადგან გვენადა კონგრესის სულისჩამდგმელებს ჰქონდათ სრული, ობიექტური წარმოდგენა კონგრესის ხვალისდელ დღეზე.

მინდა ჩემი რამდენიმე მოსაზრება გავიხაროთ მოსკოვში ჩატარებული შეხვედრის თაობაზე:

1. მოსკოვის დიასპორასთან შეხვედრამ ბევრი რამ მკაფიოდ დამახანა: ამ ქალაქში დღეს არის ქართველი ებრაელობის როგორც ინტელექტუალური, ასევე ფინანსური პოტენციალი. კონგრესს კი კარგივე უთხარადა სჭირდება.

2. შეხვედრაზე ეს პოტენციალი არ იყო წარმოდგენილი, აქ მოვიდნენ კარგი ებრაელები, კარგი ადამიანები, მაგრამ მათი მასშტაბური უმეტესობა კონგრესს ფინანსურად ბევრს ვერაფერს მისცემს.

3. ზურაბ მირილაშვილს ვესაუბრე და ვთხოვე იქნებ, შეექმნას 3-5 კაციანი ჯგუფი, რომელიც შეხვედრას ამკვრივ პოტენციალის მქონე ადამიანებს, მათი მოხელეების მიხედვით. მე დარწმუნებული ვარ, ასე ბევრი საინტერესო ადამიანი მიხვდება ჩვენს უთხარადა, მაგრამ თუ არ იქნებ ასეთი ადამიანები, ბევრი რამ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

4. თუ ეს ასე არ მოხდა, კონგრესი გამოვა ნაქარვედ დაბადებული, უკლაფერი დაწვევა, უკლაფერი იქნება ერთი ოჯახის გასაკეთებელი, ეს კი სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს, დიდებული თაოსნობა განვითარდება ვერ კნობებს.

5. ახლა შეხვედრის დირსების თაობაზე: ადამიანები ვაყენებ კონგრესის მისწრაფს, ამოცანებს. გამოსვლელში საინტერესოდ იყო საუბარი მთავარზე.

მოსკოვი 19. 12. 2002 წ.

19 დეკემბერს მოსკოვში რამდენიმე ადამიანთან გვეკონდა არცთუ მნიშვნელოვანი შეხვედრა. ცხადია, კონგრესის ჩამოყალიბების საკითხზე.

20 დეკემბერს ნიუ-იორკს გავეფრინდით. გრძელ გზაზე — ოკეანის თავზე ვმსჯელობდით მოსკოვში ჩატარებული შეხვედრის თაობაზე, ვაანალიზებდით სიტუაციას. ამ ერთმა შეხვედრამაც კი დაგვანახა რა, როგორ უნდა გაკეთებულიყო, რასაკვირველია, საორგანიზაციო კომიტეტი სწორი გზით მიდიოდა, მაგრამ კარგე ტიპების აუცილებლობაც — ებრაელობის მეტი მოზიდვა ინფორმირების მეშვეობით — დავინახეთ.

ნიუ-იორკში პარასკევს ჩავფრინდით.სალამოს მიხის დაწყების წინ ჯამაათს დავურიგეთ კონგრესის წესდების პროექტი, რათა საერთო კრებამდე კარგად გასცნობოდნენ მას ამ დროს ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა ბეთ ქნესეთის გამგეობის პრეზიდენტი გახლდათ ებრაული სულისკვთებით აღვსილი პიროვნება — ბენი ათანელიოვი. პარასკევს სალამოს, ლოცვის შემდეგ მის ოჯახში გატარებული რამდენიმე საათი დაუვიწყარი გახლდათ სწორედ ებრაული სულისკვთების, ებრაული ყოფის თვალსაზრისით. ყველაფერი იმ წესითა და რიგით მიდიოდა, როგორც ჩემი ბავშვობისას სენაკში, კულაში,ბანძაში მინახავს და რომლის ნოსტალგიას განვიცდი.

ის სალამო კიდევ ერთხელ დაგარწმუნებდათ, რომ ებრაელობა ემორჩილება ჟამთასვლას — იცვლება, იხიზნება, თავად ქმნის დროის ტენდენციებს, მაგრამ ტრადიციისადმი, ეროვნული ღირებულებებისადმი დამოკიდებულება უმტკიცესია.

კვირას, 22 დეკემბერს, ყარბითის შემდეგ ბეთ ქნესეთის დარბაზში გაიმართა შეხვედრა ჯამაათთან. პირველი გამოვიდა ბენი ათანელიოვი, მან ისაუბრა ჩვენი ვიზიტის თაობაზე, იმაზე, თუ რა მიზნით ჩავედით ნიუ-იორკში, შემდეგ რაბი აბრამაშვილმა (წინაშევილმა) დალოცა — წარმატება უსურვა ჩვენს წამოწყებას. ვისაუბრეთ ჩვენ — მოვლინებულმა სტუმრებმა, მთავარი კი ის იყო, თუ რას იტყოდნენ ჯამაათის წევრები.

პროფესორმა შოთა მარდახიაშვილმა განიხილა და მოინონა წესდების პროექტი, თუმცა, გამოთქვა სურვილი, რომ წესდებში უფრო გამოიკვეთოს ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხები, ასევე უნდა გამოიხატოს მტრების დამოკიდებულება ისრაელისადმი(!)

ოთარ სეფიაშვილმა ხაზი გაუსვა კონგრესის ბექდევით ორგანოს აუცილებლობას, ხახამ აპარონ ხენი თავად გახლდათ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ცხადია, მხარი დაუჭირა, მნიშვნელოვნად მიიწინა კონგრესის შექმნის იდეა, ძალზე კონსტრუქციული გახლდათ „თარბუთის“ პრეზიდენტის — მიხეილ როკელიშვილის, ნისიმ ჯინჯიხაშვილის, რომან ზაკის გამოსვლები — ამათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ შეიძლება კონგრესი მოგვევლინოს ეგზომ დაფანტული ქართველი ებრაელობის გამაერთიანებლად, ასევე ყურადღება გაამახვილეს წესდებზე — უმთავრესად აინტერესებდათ რეგიონალური წარმომადგენლობის საკითხები. მთავარი კი ის იყო, რომ გამომსვლელებმა წესდების პროექტი ძირითადად მოინონეს.

ბენი ათანელიოვმა, ხახამ აბრამ აშვილმა არ იქარეს დელეგატების არჩევა. დრო კიდევ გვაქვს, მოგვიანებით შევიკრიბებით და გადავწყვეტთ.

გზა ანტივერპენისაკენ გვედო. 24 დეკემბერს აქ უნდა შეხვედროდით ქართველ ებრაელობას.

ამ დროს ანტივერპენში 300 ქართველი ებრაელის ოჯახი ცხოვრობდა. სალოცავი არ ჰქონდათ, ადრე შეუსყიდიათ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ბეთ ქნესეთის აშენებას აპირებდნენ, ეს ნაკვეთი 400 ათას ევროდ გაუყიდათ და შეუძენიათ ერთი ძველი ნაგებობა (400 ათასი ევრო + გაფორმება — 60 ათასი ევრო). ჩვენი იქ ჩასვლისას იმ ძველი ნაგებობის რესტავრაცია მიმდინარეობდა, ჯამაათს მოშე ბაბელი — თბილისში ერთ დროს კარგად ცნობილი ბაბალაშვილების ოჯახის წარმომადგენელი უძღვებოდა. მისი მამა რაბი გახლდათ, მოშემ ჯამაათთან შეხვედრას კარგი ორგანიზაცია გაუკეთა. გარდა ჩასული სტუმრებისა, შეხვედრაზე ისაუბრეს ბადრი მეგრელიშვილმა, დავით მიხაელმა (მიხეილაშვილმა), შაბთაი გორენმა, გელორდი ნანიკაშვილმა, დავით ხახმიშვილმა, შაი ჩიკვაშვილმა (ჩიკვაშვილმა), რომი მანაშეროვმა, ფილხაზ მიხეილაშვილმა.

ანტივერპენი ორი გარემოებით ძლიერ დამამახსოვრდა:

ევროპაში ეს იყო პირველი ქალაქი, სადაც ადამიანები ქუჩებში ციციით დადიოდნენ. ადრე ასეთი რამ ევროპის არცერთ ქალაქში არ მენახა. 1988 წელს კანადაში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ყოფნისას, ქ. ჰალიფაქსში ქუჩაში სეირნობისას დავინახე ადამიანი, რომელიც ციციით მოსხმული მიდიოდა. შაბთაი იყო. ფეხდაფეხ მივდიე. ბეთ ქნესეთში მივიდა, ცხადია, შევეყვი და ძალიან კმაყოფილი დავრჩი ბეთ ქნესეთში რომ აღმოვჩდი.

2. აქ, ანტივერპენში, კი ქუჩებში ციციით მოსხმული ებრაელების ნახვამ მაინცდამაინც არ გამახარა. საშუამ

სიმპტომად მივიჩნიე, რადგან ევროპის ბევრ ქალაქში უკვე შესამჩნევად იზრდებოდა მუსლიმი მოსახლეობა.

2. ბეთ ქნესეთში შეხვედრის შემდეგ ქუჩაში რომ გამოვედით, ევროპის ქალაქებისათვის უჩვეულოდ მყუდროება სუფევდა. ადამიანი არსად სწანდა. აგვისტოს: დღეს მთელი ევროპა შობას ზეიმობს, ყველა ოჯახურ გარემოში, ან ქალაქგარეთ აღნიშნავს ამ დიდ დღესასწაულსაო. არც ერთი მალაზია, არც ერთი რესტორანი არ იყო ღია, სიგარეტსაც კი ვერსად იყიდდა კაცი.

ანტივერპენიდან ვენაში გავეფრინდით. 26 დეკემბერს აქაც ბეთ ქნესეთში გაიმართა შეხვედრა. თემის პრეზიდენტი გენო რიჟინაშვილი, ჯამაათის ღირსეული წევრი ნუგზარ მოძღვრიშვილი, სხვები დიდ ინტერესს იჩენდნენ კონგრესის სტრუქტურით. ვენაში მუშაობა უფრო ინდივიდუალური წესით წარიმართა — შაბთაი ცურსა და აბრამ საპირს ენადათ შაბთაი შინ, ოჯახურ გარემოში გაეტარებინათ და პარასკევს ისრაელში გავეფრინდნენ, მე კი სამიოდ დღით ვენაში დავრჩი (თბილისიდან ვენაში და ვენიდან თბილისში თვითმფრინავი კვირაში ორჯერ დაფრინავდა). ჯამაათის წევრებთან წესდებას, მომავალი ყრილობის დეტალებს განვიხილავდით.

ვენაში ბევრი რამ არის საინტერესო, სახილველი, მაგრამ ორი გარემოება მკაფიოდ შემორჩა მეხსიერებას: ნუგზარ მოძღვრიშვილის ოჯახში გატარებული შაბთაი და ვენის სახელგანთქმული საოპერო თეატრის სოლისტის — სიმონ ბალდადიშვილის გაცნობა. თუ იქ, ნუგზარ მოძღვრიშვილის ოჯახში ნუგზარის დედა — ქ-ნი გალია მოძღვრიშვილი ვპოვე, როგორც ჩინებული ებრაული ოჯახის დიასახლისი, სიმონ ბალდადიშვილი, ავსტრიაში საქართველოს საელჩოში გავიცანი. დღეს საელჩოში დიდი ღონისძიება ტარდება, მითხრა გენო რიჟინაშვილმა და მეც სიამოვნებით წავეყვი. ამ დროს ვენაში საქართველოს ელჩი, ან გარდაცვლილი ჩინებული ქართველი ინტელიგენტი და სახელმწიფო მოღვაწე გაიარსენიშვილი გახლდათ, რომელსაც ადრევე ვიცნობდი. სწორედ აქ გავიცანი სიმონ ბალდადიშვილი. მას თბილისის კონსერვატორია დაუმთავრებია, მოსკოვის დიდ თეატრში უმღერია, მერე კი ევროპაში წასულა.

თბილისში საახალწლოდ დაგვბრუნდი.

7 იანვარს თბილისის დიდ ბეთ ქნესეთში გავმართეთ წინასაყრილობო შეკრება. აქ ორი მომენტი იყო საყურადღებო: წესდების პროექტის განხილვა და ყრილობის დელეგატების არჩევა. იერუსალიმში გასამართი ყრილობის დელეგატობა ბევრს ენადა, იმაზე მეტს, ვიდრე კვოთით ეკუთვნოდა. კონგრესი კი ბევრ (2-ჯერ მეტ) დელეგატს ვერ მიიღებდა, მაგრამ გაბრიელ მირილაშვილმა, გამონაკლისის სახით, დასაშვებად მიიჩნია აერჩიათ იმაზე ორჯერ მეტი დელეგატი, ვიდრე საქართველოს ებრაელობის რიცხოვნება ამის საშუალებას გვაძლევდა. საქართველოდან დელეგატების მგზავრობა კონგრესის ხარჯი გახლდათ.თბილისში დელეგატად ავირჩიეთ:შალვა ჩიკვაშვილი, შალვა ქოსაშვილი,გურამ პაატაშვილი. გივი წინაშევილი, რაფიელ მესენგისერი, და სხვ. ერთი გარემოება: დელეგატთა შორის ვერ მოხვდა ზ. დავარაშვილი, მან კი ეს ძლიერ მტკივნეულად განიცადა, შევეცადე,ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ დავარაშვილიც ყოფილიყო ყრილობის დელეგატი, ასეც მოხდა,რის გამოც ბევრი ქალბატონი გავინანყენე.ისინიც ისევე იმსახურებდნენ ყურადღებას, იქნებ, უფრო მეტადაც, ვიდრე დავარაშვილი.

რაც უფრო ახლოვდებოდა ყრილობა, მით უფრო აქტუალური ხდებოდა საკითხი, თუ ვინ უნდა ყოფილიყო კონგრესის პრეზიდენტი. აშკარა იყო, რომ პრეზიდენტი მირილაშვილთა ოჯახიდან იქნებოდა. ეს პროცესი მათ დამიწყეს, ისინი გამოსთქვამდნენ მზადყოფნას, დაეფინანსებინათ კონგრესის საქმიანობის დიდი ნილი, მოეზიდათ სპონსორები, ქართველი ებრაელი ბიზნესმენები, რომელთაც სურვილი ექნებოდათ ყოფილიყვნენ ამ ეროვნული საქმის მონაწილენი. გაბრიელ მირილაშვილისათვის ალტერნატივა არ არსებობდა — იგი გადაჭრით ამბობდა, რომ პრეზიდენტი მამა — მიშკო (მოშე) გაბრიელის ძე მირილაშვილი უნდა იყოსო. შაბთაი ცური და მე სხვა აზრის ვიყავით — ვფიქრობდით, რომ კონგრესს სათავეში უნდა ჩადგომოდა თავად გაბრიელი და აი, რატომ: გაბრიელი ერთობ გამჭრიახი ახალგაზრდა კაცი გახლდათ, თანამედროვედ აზროვნებდა. მართალია, აკლდა ისრაელის რეალობის ცოდნა, მაგრამ იგი იმდენად ნიჭიერი — კომპიუტერული აზროვნების კაცია, გვეჯეროდა, რომ ამასაც მალე შეისწავლიდა. ამას გარდა, 2001-02 წლებში იგი ძმის — მიხოს მდგომარეობის გამო, ერიდებოდა რუსეთს, თორემ შესაძლებელი იყო, მალე რუსეთს დაბრუნებულიყო (მოგვიანებით დაბრუნდა კიდევ) და პეტერბურგიდან ემართა კონგრესი. ჩვენ ხომ ისრაელის ქართველ ებრაელთა კონგრესს არ ვქმნიდით, იქმნებოდა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც, რასაკვირველია, პრიორიტეტს მიანიჭებდა ისრაელს — ისტორიულ სამშობლოს, თორემ მისი ცენ-



ტრალური ოფისი შეიძლება ყოფილიყო, ქართველი ებრაელობით დასახლებულ ნებისმიერ ქვეყანაში. ვიმეორებ: ეს ხომ საერთაშორისო ორგანიზაცია გახლდათ და არა ერთი ქვეყნის ებრაელობისა. თანამედროვე ტექნოლოგიის პირობებში პრინციპული მნიშვნელობა აღარ ენიჭება, თუ საიდან ხორციელდება მართვა — მთავარია კარგად მოფიქრებული, ჩამოყალიბებული სტრუქტურები და ამოცანა. მაშინ ასე ფიქრობდით: კონგრესის ყველა განყოფილება იქნება თანაბარფუნქციანი, დაფინანსება — სამუშაოს მოცულობის მიხედვით. ყოველ ქალაქში — თელ-ავივი, თბილისი, მოსკოვი, ნიუ-იორკი, ვენა, ანტივერპენი, ორგანიზაცია იმუშავებს საერთო მიზნისათვის. ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა, პრეზიდენტი საიდან გასცემდა დირექტივებს. იგი შეიძლება ყოფილიყო მოსკოვშიც, თელ-ავივიშიც, ვენაშიც და სხვაგანაც. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: იმდენად, რამდენადაც დღეს ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილი თავის ისტორიულ სამშობლოში ცხოვრობს, ცხადია, პრიორიტეტად მაინც ისრაელს მივიჩნევდით.

გაბრიელი კი ახალგაზრდა, ენერგიული, კონტაქტური პიროვნება, ყველაფერ ამას კარგად გაართმევდა თავს.

ხოლო, ბ-ნი მიხეილი შვილის მდგომარეობას ისე გაეცხება, იმ მდგომარეობაში ჩაეგდო, არა-რა პრეზიდენტობის ხალისს არ ავლენდა. ერთხელ მითხრა კიდევ: „არ არი, ეს ჩემი საქმე, ამის თავი მაქვს!“ გულახდილად ვიტყვი: ვეთანხმებოდი — მას საამისო არც სურვილი ჰქონდა, არც — ენერჯია. თუმცა, ერთი ილუზორული მიზანი მაინც ამოძრავებდა: იქნებ, ყველაფერი ეს ჩემს შვილს ნაადგევს ამ გასაჭირის უშასაო. ამ იმედს „თეპილიმიც“ უძლიერებდა. ლამის მთელი დღე ფსალმუნს კითხულობდა, ფსალმუნში კი მოგეხსენებათ, იმედის დიდი ძალა და სხივია მოქცეული. მსოფლიო ლიტერატურაში მე არ მეგულება მეორე ისეთი ქმნილება ადამიანის სულიერ მხნობას ესოდენ რომ ამტკიცებდეს.

გაბრიელი კი თავისაზე იდგა.

აქვე მინდა მოვლენებს გაუხსნო: აღვნიშნე, რომ მიშკო მირილაშვილს ვეთანხმებოდი-მეთქი, იგი საერთოდ მოკრძალებული, უხმაურო პიროვნება გახლდათ, არ უყვარდა ყურადღების ცენტრში მოქცევა. ალბათ, ამიტომ იყო: პირველ ხანს ერთობ შემორკილად გემოვნდა თავს. ერთი მხრივ, შეთვის მდგომარეობა, მეორე მხრივ, ნაკისრი მოვალეობის სიმძიმე, თრგუნავდა — ახალი ამპლუა ეუხერხულებოდა კიდევ, თუ სადმე სიტყვა უნდა ეთქვა. ფრთხილობდა, ამბობდა, იქნებ, ვინმემ დაძინებოდა, უნერდნე კიდევ, მაგრამ დრომ ყველაფერი შეცვალა: სულ რვა-ათი თვის შემდეგ, როცა სიტუაციას დაეუფლა, მიშკო მირილაშვილი ნამდვილი პრეზიდენტი გახდა. სათქმელსაც „შპარგალკის“ გარეშე ძალიან კარგად ამბობდა — უშუალოდ, დამაჯერებლად და თავიც შესანიშნავად ეჭირა.

ერთი სიტყვით, ყრილობა ახლოვდებოდა, პრეზიდენტის საკითხი კვლავ ღიად რჩებოდა — ჩვენთვის, თორემ გაბრიელ მირილაშვილისათვის ყველაფერი ნათელი იყო.

საყრილობოდ ისრაელში ახალი მოსაზრებით ჩავედი, ეს მოსაზრება ყრილობამდე ორიოდე დღით ადრე ვინრო წრეში გამოვთქვი:

— ასე მოვიქცეთ: კონგრესის პრეზიდენტად დაუსწრებლად ავირჩიოთ მიხო, არსებობს ასეთი დაუსწრებლად არჩევის ფორმა, ბატონი მიშკო კი მოქმედ თავმჯდომარედ. შესაძლოა, ამან რაიმე ზეგავლენა მოახდინოს რუსეთის ხელისუფლებაზე.

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ითქვა: — მიხოს ლუპავ? ხომ შეიძლება ამის გამო კოლონიაში რაღაც მოუხერხონ...

ამ ფრაზამ დამაფიქრა, დამაფრთხო კიდევ: იქნებ, მართალია ეს კაცი, რაიმე არ ვაგნოთ-მეთქი (მერე, მოგვიანებით გავიგე, ამასთან დაკავშირებით, მიხოს უთქვამს: „ამაზე უარესი, რაღა უნდა მიყოს!“)

ისრაელში ჩასულს ერთი დოკუმენტი დამახვედრეს, რომელიც აქვე მინდა წარმოგიდგინოთ (დემერთმა დამიფაროს, აქაც და ქვემოთაც დოკუმენტების გამოქვეყნებით, ვინმეს დაკინება მენადოს. მინდა მკითხველს სრულად გავაცნო კონგრესის შექმნის, არსებობის პერიპეტები. ეს ჩვენი ისტორიაა, ისტორიაში კი ყველაფერი როდია სასიამოვნო, ან იქნებ, ის, რაც დღეს არასასიამოვნოდ გვეჩვენება, ხვალ ძალიან მნიშვნელოვანი, საჭირო დოკუმენტი აღმოჩნდეს):

რასაკვირველია, დოკუმენტების შემდგენელთა სტილი, აქაც და ქვემოთაც, დაცულია.

„ისრაელ-საქართველოს შეკობრების, რუსთაველის სახელობის სასოციალისტური საერთო კრებაში, რომელიც გაიმართა გასული წლის 5 იანვარს დადგინდა:

აქნობის ფართო სასოციალისტური და ისრაელის სახელმწიფო ორგანოებს (პრესას, რადიოს ტელევიზიას), რომ ის წინააღმდეგა „საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის“ დამფუძნებელი ურილობის გამართვის მიმდინარე წლის 22 იანვარს, შედგენილი მოსაზრებების გამო:

1. 15 იანვრიდან ქვეყანაში გამოცხადებული საგანგაშო მდგომარეობის გამო, ურთიან მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით. საღი დაკავშირებული ოჯახის დაცვაზე სრულყოფილ და თავდასაცავი

სამუშაოების ძეხნით. საკვები პროდუქტებითა და წყლით მომარაგებით.

2. ისრაელში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის გამო. ქვეყანა იმყოფება საარჩევნო გაშლასთან. მას ხელმძღვანელობს გარდამავალი პერიოდის მთავრობა, რომელიც არჩევნების პერიოდში შექმნილი უფლებამოსილებით სარგებლობს. პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ვითარება დაძაბულია და მართკომპრომის ოცნის თუ რა შედეგებით დამთავრდება ისტრატეგიული უფრო ახლოს იქნებოდა დაგეგვად ცოტა ხანი, ვიდრე სტაბილური მთავრობა ჩამოყალიბდებოდა და იმის შემდეგ გავგეგმვითა ურილობა მთავრობის სათანადო წარმომადგენლობის მოწვევით.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი არ შეიძლება გადაიქცეს მის შესწავლას მიერ დაინტერესებული პირების პოლიტიკურ მოღვაწეთა წინსაარჩევნო სააგენტო-ლონისძიებლად, რითაც მოტყუებული იქნება ერთი მხრივ, საქართველოს ებრაელობა, ხოლო მეორე მხრივ მოწვეული ძალად რანგის პირები და მათ უკან მდგომარეობის ორგანიზაციები.

3. დამტკიცებული და მოწინააღმდეგე არაა წესდება, რომლის საფუძველზეც უნდა გაიმართოს დამფუძნებელი ურილობა.

4. ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არაა, თუ როგორი წესით მოხდება კონგრესის ურილობის დელეგატთა არჩევა.

5. ურილობაზე დასრულებული მოკლე ვადაში, შეუძლებელია კანონიერი, დელეგირებული და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ურილობის დელეგატთა საარჩევნად.

6. უცნობია ურილობის გასამართლად საჭირო თანხის ოდენობა და მისი დაფინანსების გზები.

7. უკუაღმრთე მოუძებელია კონგრესის მთელი მუშაობის დაფინანსება ერთი მუცხატის მხრიდან, მით უმეტეს, თუ მას თან სდევს რაიმე სახის დიქტატი ამ პიროვნების მხრიდან.

8. საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ბიუჯეტი უნდა ექსპრესირებად ფართო საზოგადოების შემოწირულობების, რაც თავიდან აგვაცილებს ინტერესუნაბთა გამოყენებას კონგრესისზე.

9. უკუაღმრთე დაუშვებელია კონგრესის ხელის მოხდა მოტყუების გზით ან კონცერტანის გამოყენების საშუალებით.

10. კონგრესის სახელმწიფო დასაკრებელი ნაწილის მსაჯურულ განყოფილებაში მოხაწილება უნდა მიიღოს მსოფლიო საქართველოს ებრაელთა წარმომადგენლებმა.

11. კონგრესის მოწვეული საბატო სტუმრების ვინაობა, არ უნდა იხსენიებოდეს პარტიული ნიშნით.

12. კრება ირჩევს მცირე კომისიას, შედგენილი შემადგენლობით: აბრამ სეფიაშვილი, შთის მიხელაშვილი, იაკობ ჯეტიშვილი, ვაჟა თოფჩიაშვილი, სეფი ელი, იაკობ ჩიკვაშვილი, პროფ. შლომ ფიქსი, პროფ. შთის სეფიაშვილი, პროფ. ჯემალ ბინიაშვილი, ნსი ნანიაშვილი, რაის წიქვაშვილი, რომლის უფლებამოსილებაში შედის კონტაქტი დასაქრის კონგრესის დამფუძნებლების და სათანადო მოლაპარაკებები აწარმოოს მასთან. პარალელურად საქმის კურსში ჩააქონოს ფართო საზოგადოება, პრესისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით. ამასთანავე საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სათანადო სახელმწიფო ორგანოებს და ავტორიტეტულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

კომისია უფლებამოსილი იქნება იმოქმედოს შეხვედრების-სებრ „რუსთაველის სახ. სასოციალისტური“ სახელით.“

ყრილობის წინ ჩვენს სხდომებს შლომ დავიდი და დავით ბააზოვი შემოუერთდნენ. ორივეს კარგად ვიცნობდით, პატივსაც ვცემდით და რასაკვირველია, სასიამოვნო გახლდათ ამ საინტერესო პიროვნებების კონგრესში მოსვლა.

შლომ დავიდი დიდი წვლილი შეიტანა ებრაული კაზმულსიტყვაობის, კლასიკური მწერლობის პოპულარიზაციის საქმეში. თუნდაც ის რად ღირს, რომ ჩინებულად თარგმნა „თანახი“ (ძველი აღთქმა), წინასწარმეტყველთა ნიგნები, ფსალმუნები. მან შესძლია ამზე მეტი, ვიდრე შეუძლია შექმნას ერთმა ადამიანმა, ამის თქმის უფლებას მაძლევს ის გაუწელებელი მოღვაწეობაც, რომელსაც იგი პარალელურად ეწეოდა და ენევა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამას გარდა, სარგებლობდა რა ისრაელის სახელმწიფო ინსტიტუტების პატივისცემით, ხელი შეაშველა ბევრი ქართველი ებრაელის ისრაელში აბსორბციას. რამდენადაც ვიცი, იგი დათო ბააზოვსაც დიდ ყურადღებას აქცევდა. დათო ისრაელში მალე დადგა ფეხზე და თავისი პროფესიონალიზმით გაიკვლია გზა.

იგივე შემძლია ვთქვა რუბენ ენოხზე (ენუქაშვილზე). იგი უკვე არიელის უნივერსიტეტში ფეხმოდგმული მეცნიერი გახლდათ, საინტერესო პრომების ავტორი. პრესაში მუშაობის გამოცდილებაც ჰქონდა — ხანმ ხუბელაშვილის შემდეგ მცირე ხანს ჟურნალ „დროშას“ რედაქტორობდა, იყო და არის ისრაელის რადიოს ქართული გადაცემების ხელმძღვანელი.

აღარაფერს ვამბობ სოსო ბარდანაშვილზე: მას შემდეგ, რაც რობერტ სტურუამ თელ-ავივის კამერულ თეატრში ხანონ ლევიის „პირდაღებულის“ დადგმისას, მუსიკის ავტორად მიიწვია, ისრაელმა დაინახა, რომ დიდებული კომპოზიტორი „ოლე ხადაშად“ ეჯდა. უმაღ ირმუნეს მისი ტალანტის. დღეს სოსო ბარდანაშ-

ვილი ისრაელის მუსიკალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და დიდ პატივს მიაგებენ.

ყველა ზემოთ ნახსენები მეცნიერი, მოღვაწე ის პიროვნებები გახლავან, რომელთა სახელები კონგრესს დაამშვენებდა. ამიტომაც გადაწყვიტე: შლომ დავიდი უხელმძღვანელებდა ებრაული მემკვიდრეობის კომისიას, დავით ბააზოვი — მეცნიერების კომისიას, რუბენ ენოხი — პრესისა და მასობრივი ინფორმაციის კომისიას, სოსო ბარდანაშვილი — კულტურის კომისიას.

ყრილობის სამზადისმა, შემდგომმა პერიოდმა, მით უფრო, დამარწმუნა: ისრაელის ქართველი ებრაელობის ე.წ. ლიდერთა ერთ ნაწილს აქვს სრულიად გაუმართლებელი პრეტენზიები: თავიანთ მონაცემებს, საქმეებს ძლიერ აზვიადებენ და უჩნდებათ დიდი ამბიცია, თავს მოგახვიონ საკუთარი პერსონა.

თბილისში კონგრესის დელეგატების არჩევისას ერთი თბილისელი ქ-ნი დელეგატთა სიაში ვერ მოხვდა. არჩევნები — ბეით ქნესეთში იყო სრულიად ღია, საჯარო.

თელ-ავივიში ჩასულს თ. მამისთვალთა მომმართა: თბილისიდან ის ქალბატონი უნდა მოვიწვიოთ — მეგობრობდა მასთან. მივუგე: ჯამათმა დელეგატები უკვე აირჩია, უხერხულია, ეს ჯამათის გადაწყვეტილების არაფრად ჩაგდება გამოდის-მეთქი. არაო, ძალიან დადებითად დაახასიათა ის თბილისელი ქ-ნი. კი, ბატონო, თუ ასეა, მირილაშვილების ხარჯზე რატომ იწვევთ, თავად მოიწვიეთ-მეთქი. გამინანყენდა. მაშინ დაიწყო...

მეორე თვალსაჩინო მაგალითი: დავით და გერცელ ბააზოვების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამგეობაზე დავსვი საკითხი და გადაწყვიტეთ ამ ორი დიდი ქართველი ებრაელი მოღვაწის სსოფინსათვის პატივი მიგვეცო. გამგეობის სხდომაზე განსვენებული დავით ბააზოვის შვილიშვილი ცნობილი ლიტერატორი, მთარგმნელი ლილი ბააზოვი მოვიწვიეთ. შლომ დავიდი, დათო ბააზოვი, ქ-მა ლილიმ, იაკობ ეფრემაშვილმა დიდხანს ვიმჯვლეთ რა, როგორ გავგეკეთებინა.

სამეცნიერო კონფერენცია დავგეგმეთ. კონგრესის აპარატმა კონფერენცია მოამზადა. თელ-ავივიში ჩასულმა დღის წესრიგზე მუშაობისას, მივიჩნიე, რომ ერთ-ერთი სხდომის გამძლოლი კულტურის კომისიის თავმჯდომარე, კომპოზიტორი სოსო ბარდანაშვილი ყოფილიყო. ამის გაცხადებდნენ რამდენიმე წუთში (არ ვაჭარბებ: რამდენიმე წუთში!) იერუსალიმიდან მირეკავს ჩემი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო გერშონ ბენ ორენი.

მე შევეცადე დამერწმუნებინა, რომ დიდებული დავით და გერცელ ბააზოვების საიუბილეო ერთ-ერთ სხდომას, სწორედ ისეთმა ხელოვანმა უნდა უხელმძღვანელოს, როგორც სოსო ბარდანაშვილია — დღეს მთელი ისრაელის ინტელიგენციამ იცის, თუ ვინ არის სოსო ბარდანაშვილი, რა რანგის შემოქმედა. გერშონ ბენ ორენი კი ისე კიოდა, ვგონებ, ტელეფონის ყურმილიც კი იბზარებოდა: „ვინ არის სოსო ბარდანაშვილი! ვინ არის სოსო ბარდანაშვილი!“ თუ მართლა მეცნიერად მიგაჩნია თავი, ის მაინც უნდა იცოდეთ, თუ რა ფასი ადევს ჭეშმარიტ ხელოვანს... მაგრამ... არ იცის, გაუგონია, მაგრამ არ იცის... მეცნიერი რომ 1933 წელს გარდაცვლილ კოტე მარჯანიშვილს 1934 წელს გ. ბააზოვის პიესას დაადგმევინებს და ამას სხვა ტყუილთან ერთად ენციკლოპედიაში ჩაწერს, შენიშვნაც არ უნდა მივცეთ? კი, გავაპრიტიკე, მაგრამ აი, თურმე რას ეუბნება ეკიცი ხუხაშვილი: საპასუხო წერილი რომ დავწერე, ბათიაშვილი მუხლებში ჩამივარდა, შენი ჭირიმე არ დაბეჭდო ეგ წერილი. ხუხაშვილმა ათას „აკადემიკოსსა“ და „სწავლულს“ აწერინა ჩემზე ბინძური წერილები, რაღა ამ გერშონს ჩაუვარდი მუხლებში? მაგრამ ეგ არ არის მთავარი: ეგ ბენ თრენი ჩემზე დაწერილი წერილის დაბეჭდვაზე ნებართვას ჩემგან იღებდა, მე კი მუხლებში ჩაუვარდი (რაღაც არ მაგონდება!) და გადაფიქრა?

ერთი სიტყვით, კონგრესის არეალში ყალიბდებოდა უკმაყოფილოთა ჯგუფი, რადგან ამათ და ამათნიარებს მიაჩნდათ: სხვები კი არა თვითონ, მხოლოდ თვითონ უნდა იყვნენ ყველგან.

შესაძლოა, ვინმე შეეკამათოს რატომ, რისთვის იმხედრებდი ადამიანებს, ხომ შეგეძლო, უფრო მოქნილი ყოფილიყავი, ხომ იცოდი, ესენი სიმართლეს არ მიიღებდნენ. მე არ ვიზიარებ სენტენციას: „წუ იქნები მართალი, იყავი წინდახედული“ ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. ამ რწმენას მიმტკიცებს დიდებული წიგნი მეფე დავითისა (ფიქრობ, სამაგალითო სტრიქონების მოტანა აუცილებელი არ არის).

ყრილობამდე, ვიდრე მე თელ-ავივის ჩავიდოდი, მომხდარა ერთი არასასიამოვნო რამ: უთანხმოება ჩამოვარდნილა კონგრესის მესვეურებსა და იაკობ ეფრემაშვილს შორის. ამ უთანხმოებამ შემდეგ უსიამოვნო დასასრული ჰპოვა, რასაც ხელი შეუწყო თავად კონგრესის აპარატის მუშაეთა შორის უჩინარმა წინააღმდეგობამ, დაპირისპირებამ. 20 იანვრის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველი ებრაელობა, ისრაელში იყრის თავს. ვხედავდი: ხალხს უნდა მისცე იდეა, ჩააგონო, ამ იდეის პროგრესულობა და იგი უსათუოდ გამოგყვება. 22 იანვარს ისრაელელი, ჩამოსული ქართველი ებრაელობა იერუსალიმისაკენ, მისი ცენტრალური დარბაზის — „ბინიანიე ჰაუმასაკენ“ დაიძრა. ყრილობა აქ იმართებოდა.



# შენვადრა საელჩოში

18 იანვარს ისრაელის ელჩმა საქართველოში ბ-მა იუვალ ფუქსმა საელჩოში მიიწვია საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტის წევრები.

საზოგადოების პრეზიდენტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მდივან-აკადემიკოსმა ბ-მა **როინ მატრეველი** ისაუბრა საზოგადოების საქმიანობაზე, მოიყვანა თვალსაჩინო მაგალითები იმისა, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების საქმიანობაში, თუ როგორ აისახება ისრაელში, თუ მის ირგვლივ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. ელჩს წარუდგინა საზოგადოების პრეზიდენტის წევრები, ყურადღება გაამახვილა ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო კავშირების მნიშვნელობაზე, ისრაელში ამასწინათ ჩატარებულ შოთა რუსთაველის კვირეულზე, არიელის და საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტების პირველ ნაბიჯებზე, სტუდენტთა გაცვლის აუცილებლობაზე, იმ დღეებზე, რომელსაც ამ კეთილშობილურ იდეას სდებენ ორციონ ბართანა და რეუვენ ენოხი.

ელჩმა **იუვალ ფუქსმა**, ვრცლად ისაუბრა ისრაელ-საქართველოს ურთიერთობის თანამედროვე ეტაპზე. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულებაში არაფერი არ შეცვლილა – იგი კვლავაც კეთილმეგობრული და ერთობ საქმიანია. ამას მეტყველებს, თუნდაც ის შეხვედრები, რომელსაც ელჩი სისტემატურად ატარებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, აღნიშნა, რომ იგი რამდენიმეჯერ შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, სხვადასხვა სამინისტროების პირველ პირებს.

ელჩი პატივისცემით საუბრობს საქართველოში ებრაელთა თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან სახელოვან გზაზე, ამასთანავე შიშობს: საქართველოში ებრაელთა რიცხოვნების შემცირების გამო, მომავალ თაობებს ვაითუ, აღარ შემორჩეთო ამ დიდებული ურთიერთობის ხსოვნა-დაფასება. ამიტომ საჭიროა, გაძლიერდეს საქართველო-ისრაელის ურთიერთობა სხვადასხვა სფეროში: იქნება ეს ეკონომიკა, მედიცინა, კულტურა, სოფლის მეურნეობა, თუ სხვა. ამ მიმართებით ისრაელის საელჩო გარკვეულ სამუშაოს ეწევა.

— გვსურს ამგვარი საქმიანობით ახალი თაობებისთვისაც თვალსაჩინო, ახლოდელი გავხადოთ ჩვენი წარსული ურთიერთობა. აი, უახლოეს თვეებში ჩვენ გავმართავთ ისრაელ-საქართველოს ბიზნეს ფორუმს. აქ ჩამოვლენ ისრაელელი ინვესტორები, რათა შეისწავლონ შესაბამისი საინვესტიციო გარემო. ბიზნეს-ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ნოდარ ხადური, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრიც კი გვეწვიოს.

მაღე საქართველოში ჩამოვა ისრაელელ კვალიფიცირებულ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც კატარაქტას უფასო ოპერაციებს გააკეთებს.

პრეზიდენტის წევრმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **ფრიდონ თოდუამ** ისაუბრა საქართველოსა და ისრაელს შორის არსებულ სამედიცინო ურთიერთობაზე. ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში აღზრდილი, ისრაელში მცხოვრები მეცნიერი მერაბ სარელი არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო უცხოელ წევრად. ბ-მა ფრიდონ თოდუამ ელჩი საქართველოს მეცნიერე-

ბათა აკადემიაში მიიწვია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა **ბურამ ლორთქიფანიძემ** ისაუბრა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში იუდაიკის საკითხების შესწავლაზე, ისრაელის კაბინეტის მუშაობის თაობაზე, იმ სამეცნიერო პრობლემების წრეზე, რომელიც აქ მუშავდება. სასწავლო-საკვლევო პროცესის უფრო ღრმად გაცნობის მიზნით გ. ლორთქიფანიძემ ბ-ნი ელჩი უნივერსიტეტში მიიწვია.

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, მწერალმა, **ბურამ ბათიაშვილმა** ისაუბრა იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კულტურის როლი ისრაელისა და საქართველოს ყოფის უკეთ გაცნობის მიზნით.

— ქართველი ხალხი კარგად იცნობს ებრაულ კლასიკურ მემკვიდრეობას და ძალიან სუსტად — თანამედროვე ისრაელის ლიტერატურას. ალფებთ იოშუას, მეირ შალევის, ამოს ოზის და სხვათა პროზას ძალუძს ქართველ მკითხველს დიდი სამსახური გაუწიოს დღევანდელი ისრაელის უკეთ შეცნობაში, ისევე როგორც დიდებული ქართული პროზა ღირსეულად წარუდგენს ისრაელელ მკითხველს ქართულ სამყაროს. მე მჯერა: ჭაბუა ამირეჯიბის, ნოდარ დუმბაძის, ოთარ ჭილაძისა, თუ სხვათა პროზა, ისეთივე აღმოჩენა იქნება ისრაელის ინტელიგენციისათვის, როგორც ქართული თეატრი, მუსიკოს-შემსრულებლები.

საუბარში მონაწილეობდნენ საზოგადოების პრეზიდენტის წევრები: საქართველოს ეროვნული სახელმწიფო მუზეუმის გენერალური დირექტორი, პროფესორი **დავით ლორთქიფანიძე** და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ლელა ნინუაშვილი**.

## ნოდარ პალაბი-პარლაბაშვილი 75 წლისაა დაგვიანებული მილოცვა მეგობარს



ძმაო ნოდარ, ზუსტად რომ არ ვიცოდე შენი წლოვანება, რაკი ბოლო 17-18 წლის მანძილზე ერთად მოუყვებოდა ცხოვრების გზას, ვერც კი დავიჯერებდი, რომ შენ, მუდამ შრომა-გარჯასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ძალუძად ჩაფლული კაცი, თავით ფერხამდე დახვეწილი, შინაგანი ინტელიგენტობით აღსავსე, ნიუ-იორკიდან მუდამ ებრაელობასა და ისრაელზე დაულაღავად მზრუნველი პიროვნება, მეცნატი (გავისხენებ თუნდაც ან განსვენებული ილია აივაზაშვილის ნიგნის გამოცემას, ისევ და ისევ ებრაელი ხალხის ისტორიაზე რომ მოგვითხრობს; მე პირადადაც არაერთხელ მომწვედნია შენი შემწეობის მეგობრული ხელი), ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე დაფიქრებული მოაზროვნე, დღენიადაც რომ ეძებს, სად რა გვაქვს მეტყველებაში საერთო (შენი ენთუზიაზმით ახლოდელიც ხომ დააინტერესე, ერთი მე გყავარ სკეპტიკოსი მეგობარი, სულ იმას რომ გიმეორებ, ამას შემონმება უნდა, ამას დამტკიცება უნდა-მეთქი, თუმც კი კარგად მესმის, რომ ხშირ შემთხვევაში შენი მოსაზრებანი ნამდვილად არ არის მთლად უსაფუძვლო), დიდებული მეუღლე, მოყვარული მამა და ზღაპრული „დედო“ (პაპა, შენებურად და ჩემებურად ბაბუა) უკვე სამოცდაათხუთმეტი წლისა ხარ.

მოყვარული და დამფასებელი ბევრი გყავს, ბევრმაც მოგილოცა სახელოვანი იუბილე, მე კი გული მწყდებოდა, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო, უმძიმეს ცაიტნოტში რომ მომაქცია, და რომლებიც კარგად მოგესვენება, აქამდე ვერ შევქელი ორიოდ სტრიქონით მომართვა. და, აი, ახლა, ჩვენი საერთო მეგობრის გურამ ბათიაშვილის ინიციატივით, რომელიც ასევე უერთდება ამ მოლოცვას, გავბედე დაგვიანებით შემეწახებინე და საჯაროდ გამომეხატა ჩემი პატივისცემა და სიყვარული.

„ად მება ვეესრიმ“, ჩემო ძვირფასო ძმაო, შენს დიდებულ მეუღლესთან ეშეთ-ხაილ ქალბატონ სვეტასთან ერთად, შენი შვილებისა და შვილიშვილების ძლიერებითა და შენი საძმოს მარადიული ლოცვა-კურთხევით

შენი რეჟიმან ენოხი (რუჟან ენუქაშვილი)

**რედაქციისაგან:** ჯამაათი პიროვნებებისგან შედგება. მინიანის წევრობა, ცხადია, ჩინებულია, მაგრამ მინიანის ყოველი წევრი პიროვნება ვერ იქნება. ნოდარ პარლაბაშვილი ადრე თბილისის ჯამაათის ამშვენებდა, დღეს იგი ნიუ-იორკის ჯამაათის დამამშვენებელია. იმიტომ რომ პიროვნებაა. გვჯერა, დიდხანს იქნება ასე!

## იოსებ ბარდანაშვილის თბილისური პრემიერა

ჩინებულმა მუსიკალურმა მოღვაწემ ნიკა რაჭველმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა – შექმნა საქართველოს სიმფონიური ორკესტრის ახალი თაობის მუსიკოსთა ჯგუფი. საამისოდ მან თბილისში შეკრიბა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოსწავლე, ან უკვე კურსდამთავრებული ახალგაზრდა ქართველი. მუსიკოს-შემსრულებლები.

27 დეკემბერს, საქართველოს მუსიკალურ ცენტრში გაიმართა დაუფინყარი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდული სიმებიანი კვარტეტი, ლიზა რამიშვილი (ჩელო), არიელ ცუკერმანი (ისრაელი, ფლეიტა), თეიმურაზ ბუხნიკაშვილი (ფაგოტი) და სხვ.

სალამოს მშვენება მაინც გახლდათ, იოსებ ბარდანაშვილის კონცერტი ფლეიტისათვის, რომელიც



საქართველოში პირველად შესრულდა. ამ კონცერტის თბილისური პრემიერა მაყურებელმა, მსმენელმა ერთობ გულთბილად მიიღო. ფლეიტის პარტია მაღალ მუსიკალურ დონეზე შეასრულა არიელ ცუკერმანმა.

მაყურებელმა გულთბილი მიღება გაუმართა იოსებ ბარდანაშვილს, ისრაელი-დან მოწვეული კომპოზიტორი დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით.

კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და საგარეო საქმეთა მინისტრი მათა ფანჯიკიძე.

იოსებ ბარდანაშვილი მონაწილეობა მიიღო და გულთბილი სიტყვა წარმოთქვა ვ. სარჯიშვილის სახ. კონსერვატორიის პროფესორის – გიზი ამირეჯიბის 85 წლის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე.



რას ვკითხვართ უკრაინაში? ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი აბიშაი ბათაშვილი



ბათაშვილი

ბეშალანის ფარაშიში თორა მოგვითხრობს იმ განსაკუთრებულ საკვებზე, რომელითაც უფალმა ღმერთმა ისრაელის შვილები გამოკვება სინაის უდაბნოში – ესაა ციური მანანა. ამიტომ ჩვევად აქვთ საქართველოს ებრაელთა ჯამათებს ამ შაბათს წორბლის ფაფის (კორკოტის) ჭამა, რაც ტრადიციის მიხედვით იმ ციური მანანის მსგავსია, რასაც ჩვენი მამა-პაპანი უდაბნოში ჭამდნენ. ამ საკვებს თორაში „პური ციდან“ ეწოდება. მას რამდენიმე არაჩვეულებრივი თვისება ჰქონდა: მასში არ იყო ნარჩენები, ადამიანი მას იმის დაგეგმვით მიირთმევდა, რაც სურდა, ნებისმიერ ადამიანს იმდენი უღუფა ეძლეოდა, რაც მისთვის იყო გამოყოფილი და ასე შემდეგ. ციური მანანა უდაბნოში ისრაელის შვილების მხოლოდ შიმშილის პრობლემის გადაწყვეტი საშუალება არ იყო. მას მომავალი

თაობებისთვისაც აქვს მნიშვნელობა. უფალმა ღმერთმა ბრძანა ციური მანანის ერთი ქილა შესანახად დაეტოვებინათ. მას ერთ-ერთი გამოყენება კი წინასწარმეტყველ იერმიაჰუს დღეებში ჰქონდა: „როდესაც იერმიაჰუ ამხელდა მათ, რატომ თორას არ მეცადინებოთ, ისინი ამბობდნენ: ჩვენი საქმიანობა მიგატოვოთ და თორა ვიმეცადინოთ? საიდან ვიმოვოთ საარსებო წყარო? გამოუღო მათ ციური მანანას ქილა. უთხრა მათ... შეხედეთ, ეს იყო თქვენი მამა-პაპათა საარსებო წყარო. ბევრი წარგზავნილი ჰყავს მას საკვები გაუმზადოს მის მოშიშთ“.

ერთი შეხედვით, გაუგებარია იერმიაჰუს მიერ გაცემული პასუხი კითხვაზე „საიდან ვიმოვოთ საარსებო წყარო“. რამეთუ რა მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ისრაელის შვილები სინაის უდაბნოში ყოფნისას ციურ მანანას ჭამდნენ. ახლა წომ აღარ ჩამოდის ციური მანანა ციდან და ადამიანმა უნდა მოხნას და დათესოს, რათა პური მოიყვანოს მიწიდან?!

ჩვენ აქ ციურ მანანაში ჩამალულ დიდ იდეამდე მივივარდეთ: ციური მანანა ჩვენთვის არა მარტო იმ წყალობას ასახავს, რაც მამის უფალმა ღმერთმა სინაის უდაბნოში მოუვლინა ჩვენს წინაპრებს, არამედ მთელ იმ მეთოდს, რომლის საშუალებითაც უფალი ღმერთი გვარსებებს ჩვენ აქ და ამჟამად.

როდესაც ჩვენ ვხსნავთ მიწას და ვთესავთ, რათა პური მოვიყვანოთ, ყოველივე ეს სრულად ბუნებრივი ჩანს. არავითარ სასწაულს და არავითარ ზებუნებრივ ძალას არ ვხედავთ ამასში და ისეთი შეგრძობა გვაქვს, რომ თუ ვინმეს უნდა ვუმაღლოდეთ – ეს ადამიანია, რომელმაც მოხნა და დათესა და მიწას, რომელმაც აღმოაჩინა ეს მოსავალი. დაქირავებულ მუშასაც, ხელფასს რომ ღებულობს, შეუძლია იფიქროს, რომ ის ცხოვრობს და საარსებო წყაროს მისი დამსაქმებლისგან იღებს.

სინამდვილეში, აქ დიდი ილუზიაა. მიწა, რომელიც პურს აღმოაჩენებს და დამსაქმებელი, რომელიც ხელფასს იძლევა მხოლოდ ის „მიღებაა“, რომლის გზითაც უფალი ღმერთი სიუხვესა და ბარ-

აქას გადმოსცემს ადამიანს. ჭეშმარიტი კურთხევა და ჭეშმარიტი საარსებო წყარო მისგან მოდის, მაგრამ ის ბუნებრივ საშუალებებს ხმარობს და მათი გზით გადმოსცემს საარსებო წყაროს.

ებრაელმა, რომელიც რეალურად ახროვნებს, იცის, რომ შეუძლებელია ყურადღება გაამახვილო „მიღზე“ და უყურადღებობა გამოიჩინო სიუხვისა და ბარაქის წყაროს მიმართ. ასეთი ებრაელი მართალია ამრომებს თავისი საარსებო წყაროს მოსაპოვებლად, რამეთუ „მიღიც“ არის საჭირო, მაგრამ ახრადაც არ მოუვა, რომ ეს საშუალო მისი ცხოვრების მთავარ მიზნად აქციოს, ვიდრე ის თორის სწავლაში, ლოცვაში და მიცვების შესრულებაში არ შეუშლის ხელს – ეს კი მას ფუნქციონირების მის საარსებო წყაროს, ღმერთის კურთხევას.

ამ ებრაელს ისიც ესმის, რომ საექვო ეშმაკური საქმიანობა მას არ მოუტანს უფრო დიდ მოგებას, გრძელვადიან პერსპექტივაში ის მას ზარალსაც მოაწვეს. მას სწამს, რომ უფალმა ღმერთმა მისთვის საარსებო წყაროს რაოდენობაც გამოჰყო, მან მხოლოდ შესაფერისი „ჭურჭელი“ უნდა მოამზადოს მის მისაღებად.

მაგრამ ჩვენ რწმენა გვჭირდება, რათა ამის შეცნობამდე მივალწოდოთ. რადგან უფალი ღმერთი ბუნებრივი ჭურჭლების საშუალებით გადმოგვცემს ჩვენ მის კურთხევას, რომლებიც ნამდვილად და შინაგან პროცესებს ფარავენ. ამ მომენტში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ციურ მანანას – ციური მანანა ცხადად ასახავს ჩვენთვის იმ ფაქტს, რომ საარსებო წყარო უფალი ღმერთისგან მოდის, რომ რა ხერხიც არ უნდა ინმაროს ადამიანმა, მაინც ვერაფერს შეცვლის – რამეთუ ღმერთის მიერ ადამიანი უსუსტად იმდენს მიიღებს, რაც მისთვის არის გამოყოფილი, არც მეტს და არც ნაკლებს.

და ასე აძლიერებს ციური მანანა ღმერთისადმი რწმენას და იმედოვნებას, რომ ის უზრუნველყოფს თითოეულ მათგანს ყოველივე იმით, რაც მას სჭირდება როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად.

### რაბინთა სტუმრობა



22 დეკემბერს სასტუმრო კომპლექს „ბაზალეთში“ შეკრებილი იყო ებრაული საზოგადოებრიობა, რისი მიზნებიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან რაბი როზენშტაინის ხელმძღვანელობით რაბინების დელეგაციის ჩამოსვლა გახლდათ. მათ მონახულეს იეშივა და ებრაულ ქორნილსაც დაესწრნენ.

ჩვენთან საუბარში არიელ ლევინსა თქვა: — თბილისში სტუმრად იმყოფება ამერიკელი რაბინების დელეგაცია ორგანიზაცია „ვად ისრაელის“ ხელმძღვანელის დოქტორ როზენშტაინის ხელმძღვანელობით. მათ ყოველ წელს ჩამოჰყავთ რომელიმე დიდი რაბინი. წელს რაბი ისრაელ ხაიმ ბელსკი ჩამოიყვანეს. იგი ცოტა ხნის წინათ სასწავლებრივად გადაურჩა სიკვდილს და ცდილობს რაც შეიძლება მეტი სიკეთე აკეთოს. აშშ-ში საკმაოდ ცნობილი რაბინია, ხელმძღვანელობს ორგანიზაციას „ორთოდოქს უნიონი“ — რაბინების ორგანიზაციას, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდ ქაშრუთზე აგებს პასუხს. სტუმრებმა ნახეს სკოლა, იეშივა, იმყოფებოდნენ ებრაულ ქორნილში და კარგი განწყობით გაემგზავრებიან საქართველოდან.

**მოხა შვია:** პირველ რიგში, მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო და მინდა გადმოგცეთ ამერიკელი ებრაელების — თქვენი დების და ძმების მოკითხვა. ჩემთვის ძალიან სასიხარულოა საქართველოში რომ ვიმყოფები, ქართულ თემზე ბევრი საინტერესო ამბავი მოვისმინე, მაგონდება

დავარაშვილების ოჯახი, რომელმაც სამი ცადიკი ძმა აღზარდა. ჩვენ ძალიან ახლო ადამიანები ვართ, და არც არის გასაკვირი, რომ ასეთი შეგრძობა მეუფლება, რადგან ერთი წინაპარი გვყავს. ჩვენ გვაქვს დიდი საგანძური — თორა, რომელიც იაკობ ავინუმ დაგვიტოვა. იაკობ ავინუ მთელ ოჯახთან ერთად მიდის ქანაანის მიწიდან ეგვიპტის მიწისკენ, მაგრამ მანამდე, თავის უფროს ვაჟს — იეჰუდას უშვებს იმ ადგილზე, სადაც მისი ოჯახი უნდა დასახლებულიყო, რისთვის გაგზავნა იაკოვ ავინუმ იეჰუდა? იმისთვის, რომ მას შეემზადებინა იმის საშუალებები, რომ ოჯახს დახვედროდა სასწავლებელი ინსტიტუტები, ებრაელი ერის სასიცოცხლო წყარო არის თორა, სწორედ თორის სასწავლო ინსტიტუტები უნდა გაემზადებინა იუდას. ეს იყო სანინდარი იმისა, რასაც ჩვენი ერის უკვდავება უნდა განეხორციელებინა. ჩვენი წინაპარი გვაძლევს იმის მაგალითს, რომ იმისათვის რომ ებრაელმა იცოცხლოს, უნდა ჰქონდეს თავისი იეშივა. რაც აუცილებელია ებრაელი ოჯახების სრულფასოვანი არსებობისთვის. ჩვენ ვესტუმრეთ ვაჟების და გოგონების ებრაულ სკოლებს და დავინახეთ, რომ დღესდღეობით თბილისში არსებობს ის საფუძველი, რომ სინაგოგები არ იქნება ცარიელი, ეს სკოლები განაპირობებს ებრაელი ახალგაზრდობის აღზრდას, რომლებიც შეავსებენ სინაგოგებს. მინდა გითხრათ კურთხევა ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით. ჩვენი ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ვენვიეთ თემს — მოვინახულეთ სკოლები, იეშივა, სინაგოგები, რომლებიც მარტო ლამაზი კი არაა, არამედ ივსება თქვენი ლოცვებით. დადებითი და სასიამოვნო შთაბეჭდილებებით ვართ აღსავსე, რაც იმის იმედს მძლევს, რომ თემი იფუნქციონირებს მანამ სანამ მაშიახი მობრძანდება.

ორგანიზაცია „ვადის“ ხელმძღვანელი რაბი **მორდუხაი როზენშტაინი:** ძველი სინაგოგის განახლება-გარემონტება და ახალი ავეჯით ავსება გარკვეული ნაწილი იმისა, რაც დღეს თქვენს თემში ხდება. ვხედავ თქვენს ძველ სინაგოგას გალამაზებულს და აღსავსეს ლოცვებით, იმას რომ თქვენ ერთიანი ლამაზი თემი ხართ. ეს არ ჰყავს ნიუ-იორკის ებრაელობას, ერთ კვარტალში სამია განლაგებული და ასე მშვიდობიანად ვერ არსე-

### გოდების კედელთან



ქართველმა ებრაელმა ოლიგარქმა მიხეილ მირილაშვილმა იერუსალიმში, გოდების კედელთან დღესასწაული გამართა. სტუმრები, რომელთა შორისაც რუსეთის მთავარი რაბინი ბერლ ლაზარიც იყო — ბიზნესმენის ციხიდან გათავისუფლების 4 წლისთავი აღნიშნეს. შეგახსენებთ, რომ 2001 წლიდან მ.მირილაშვილმა ციხეში 8 წელი გაატარა.

სტუმართა შორის იყვნენ — ყოფილი მინისტრი და პარტია „შასის“ ერთ-ერთი ლიდერი არიე დერი. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკაში დაბრუნებამდე დერიმაც სამი წელი (2000-2003) გაატარა ციხეში საზოგადოების ნდობის გაცრუების გამო. ცერემონიული გოდების კედლის რაბინს შმუელ რაბინოვიჩს მიჰყავდა.

ბოლო წლების განმავლობაში მირილაშვილი რელიგიურ ცხოვრებას ეწევა და არც ერთ აუცილებელ ლოცვას არ აცდენს. ერთ-ერთი მეგობრის სიტყვებით, ბოლო წლებში იგი რელიგიას დაუახლოვდა, რაც არც არის გასაკვირი, რადგან სოფელ კულაში, სადაც მირილაშვილი დაიბადა ებრაული ტრადიციებით ცხოვრობდა და იზრდებოდა.

„IZRUS“

ბოხენ. ყოველთვიურად უამრავ ქორნილს ვესწრებით, მაგრამ ვერც ერთი ვერ შეედრება იმას, რაც აქ ვნახე. შთამბეჭდავი იყო, მე და ჩემი ჯგუფის წევრები ბედნიერებისა და სიხარულისგან ვტიროდით. გამთლიანდით, ბედნიერად იყავით, ყველანი ერთად შევიკრიბებით იერუსალიმში.



დინა რატნარი

# მაშინ მე მხოლოდ ვიწყებოდი

ცოლ-ქმარი ბალს რწყავს. საკმაოდ იდილიური სურათია. კაცი გამხდარია, კობხად შეკრეჭილი ჭალარაშერეული წვერით და მეოცნების ღიმილით; ქალის თავისუფალ თარგზე გამოჭრილი კაბა კი ბერძნულ ტუნიკას მოგაგონებთ; მოლიავებული მკლავები და კისერი ჩამავალი მზის ოქროს სხივებით აქვს განათებული. ბალი პატარაა — ორი მსხლის ხე, ბრონეული, რამდენიმე ვაზი, ქინძის კვლები და მესერთან პამიდვრის ნერგები. მე და ძალი ჯერ ვენერამ — სახლის დიასახლისმა შეგვამჩნია და მაშინვე ჩვენკენ წამოვიდა, — ქურჩის ძალი! გააგდე, გააგდე, სანამ ერლომს არ დაუნახავს, თორემ, ის არ გამაგდებინებს“. ვენერას ხელი მოვიკიდე, მშვიდად გავიყვანე ერლომისგან მოშორებით და ჩურჩულით ბავშვობაში ბებიაჩემის მონაყოლი არაკი მოვუყვიე: — „გზაზე ლატაკი კაცი მიდიოდა, ერთი ძალი აეკიდა, — ნადი, გამშორდი! — უბნება კაცი, — ის კი მაინც მისდევს, — გამშორდი, საკვები ჩვენ თვითონაც არა გვაქვს, — ძალი მაინც მისდევს. მაშინ აიღო კაცმა ქვა და ესროლა. ძალი ზანტად შებრუნდა, მაგრამ ასი ნაბიჯიც კი არ ჰქონდა გავლილი, რომ ოქროს მონეტებზე დაიშალა. ეცნენ გამვლელ-გამომვლელნი და დაუნყეს ოქროს აკრეფა. სანამ იმ კაცმა მიიბრინა, ოქროს მონეტებისაგან აღარც ერთი არ დარჩენილიყო. აქედან მორალი — არ უნდა გააგდო ის, ვისაც ღმერთი გიგზავს“. ვენერაც, დამეთანხმა.

როგორც ამბობენ, როცა მეუღლეები ერთად დიდხანს ცხოვრობენ, ერთმანეთს ემსგავსებიანო. ვენერა და ერლომი ერთმანეთს არა მხოლოდ სახით, არამედ ტანის აღნაგობითაც ჰგვანან — ორივე ასკეტურად გამხდარია. მართალია, სხვადასხვა მიზეზის გამო: კაცი იმიტომ, რომ ცოტა საკვებით კმაყოფილდება, ქალი კი იმიტომ, რომ სიგამხდრე მისი სტილია. ამაში ის არ შემცდარა: რამდენიმე კილოგრამიც რომ მოემთხინა, მთელ შარმს დაკარგავდა. ასე კი ნამდვილ ფრანგს ჰგავს. დახვეწილია, მაგრამ, სამაგიეროდ, მალე ილღება. ჭიშკრიდან სახლისკენ მივემართებით.

— სტუმრები გვყავს? — ერლომმა ბალის მორწყვას თავი ანება, შლანგი მიატოვა და ძალს აღერსიანად შეხედა.

ძალი სიხარულით კუდის ქიციანს მოჰყვა — ის აღიარებს და მიიღებს. სანამ მასპინძლები მას ხუხულას უშენებდნენ, მე იმაზე ვფიქრობდი, თუ ვინ იქნებოდა ერლომი, ისტორიის მასწავლებელი რომ არ ყოფილიყო: ბოტანიკოსი, რომელიც ცოცხალ ბუნებას დააკვირდებოდა და შეისწავლიდა თუ იხტიოლოგი, რომელიც თევზის ახალ პოპულაციას გამოიყვანდა? მაგრამ აქვე უარეყავი ყველა ეს ვარაუდი. მსგავსი პროფესიები არა მარტო სინამდვილის ჭვრეტას, არამედ მასში აქტიურ ჩარევასაც მოითხოვს. ერლომს კი ხეხილის მცნობის მართებულობაშიც კი, ცოტა არ იყოს, ეჭვი ეპარებოდა, — ეს ძალადობააო, — ამბობდა. მისი აზრით, არც ობობას მოკვლა, არც აბლაბუდის მოხსნა, არც ბაღში ტოტის მოტეხვა შეიძლებოდა და, მით უმეტეს, არ შეიძლებოდა შემთხვევით მოსული ძალის გაგდებაც. სანამ მისი თანაკურსელები მანქანებისა და აგარაკების შექმნით იყვნენ გართულნი, ის ფიქრობდა. და რაც მეტს ფიქრობდა, მით ნაკლებს ლაპარაკობდა; მართლაც და, განა არაა უფრო დამაჯერებელი ის, რაზეც ადამიანი დუმს?

სწრაფად ბნელდებოდა. იისფერი დაისის ფონზე ხის შავი სილუეტები მკვეთრ მოხაზულობას იძენდა. ძალი ნაჩქარევად აშენებულ ხუხულაში, ძველ ყუთში დაფენილ ხალიჩის ნაჭერზე იჯდა და თავშესაფრის პოვნის სიხარულისგან სულ ცმუკავდა — ეტყობა ზეიმობდა, თანაც სიხარულის და მადლიერების გამოხატვას ცდილობდა; გადმოხტებოდა ხუხულადან, შეხტებოდა მივ და, თითქოს გონს მოეგო, თავის ხუხულაში, იმ ძველი ხალიჩის ნაჭერზე დინჯად მოიკალათებდა.

ერლომი, თავის ცოლთან ერთად, მამისეულ დაუმთავრებელ სახლში ცხოვრობდა. მამამისი ამ სახლს მთელი სიცოცხლე აშენებდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ავაშენებ, ყველაზე ნათელ ოთახში სახელოსნოს გაემართავ და ხატვას მივყოფ ხელსო. სანამ აშენებ-

და, თავისი განზრახვაც გადავიწყდა. „ცხოვრებას აზრი არ აქვს“, — დაასკვნა ბოლოს მომკვდავიმა მამამ. აღბათ, ერლომმა ამიტომაც არ ისურვა სახლის მონყობასა და მანქანის შექმნაზე დროის დაკარგვა — ის ჭვრეტით და ცხოვრების გააზრებით იყო დაკავებული — ეს იყო მისი ნიჭი და მონოდება. ადვილია ერლომთან საუბარი, თითქოს საკუთარ თავსაც უკეთ ეცნობი და თავისთავადად ყოფნის უფლება-საც იძენ, ოღონდ, გაუმჯობესებული ვარიანტით, და შენთვის აღმოაჩენ სახლის პატრონისთვის ისედაც ნათელ ჭეშმარიტებას: „ჩვენ იმდენად ვართ თავისუფალნი, რამდენადაც სხეულებრივ არსებობას სულიერ არსებობაში გადავიტანთ“. დაუმთავრებელი, ღარიბული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საოცრად მყუდრო სახლის პატრონი დროის მიღმა ცხოვრობს, თუმცაღა, სიბრძნეც ხომ ყოველთვის დროის მიღმაა. როდესაც ერლომს ესაუბრები, თითქოს მის სულიერ სამყაროში იძირები და დროის სწრაფ რბოლას ანელე. გარშემო საოცარი სიჩუმე ისადგურებს. ასეთი სიჩუმე მაშინ ჩამოვარდება ხოლმე, როცა მოფარფატე თოვლის ფანტელების ვარდნას უგდებ ყურს. ერლომი მასწავლებლის როლშიც არაჩვეულებრივია. ისტორიის ფაქტების მისეული ახსნა მოსწავლეებს არა მხოლოდ ომების მიზეზს, მეფეთა დინასტიების მონაცვლეობას, საწარმოო ძალების წარმოებით ურთიერთობებთან შესაბამისობასა და შეუსაბამობას უხსნის, რაზეც ჩვენი მასწავლებლები ერთთავად იცოკლებიან, არამედ ყველაზე მთავარს — სიკეთისა და ბოროტების ისტორიას განუმარტავს. ადამიანისთვის სიყვარული და ვერაგობა, გულუბრყვილობა და შური საეხებით დამახასიათებელია. და სწორედ აქ ვლინდება ერლომის პედაგოგიური ნიჭი: ის ღარიბს იმას ასწავლის, რომ მდიდრისა არ უნდა შურდეს; იმის გამბედაობასაც ასწავლის, რომ პატივმოყვარეობისა და მატერიალური კეთილდღეობის გამო უარი არ თქვას უმნიშვნელო და სამართლიან არჩევანზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი საკუთარი გზის შეგრძნებას დაკარგავს.

ყოველთვის კეთილგანწყობილი და მშვიდი ერლომი ერთბაშად ფეთქდება — ნერვიულობს, ოთახში სიბრბილს და ყვირილს იწყებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოლი ეჩხუბება. ჩხუბის მიზეზი ყოველთვის ერთი და იგივეა — ცოლი ფულს სესხულობს და რაღაც ძველებური ჭალის ანდა ბრინჯაოს შანდლების მსგავს ნივთებს ყიდულობს. ამჯერად მან სადაფით ინკრუსტირებული, ბორბლებიანი მაგიდა იყიდა.

— ეს სტუმრებისთვისაა, — მორიდებულად იმართლებს თავს ვენერა.

— რა შუაშია აქ სტუმრები? — თავშეკავებით ეკითხება გაღიზიანებული ერლომი.

— ხალხი რომ მოვა... — და, მერე რა?!

— ძალიან მოსახერხებელია ჩაის მისართმევად. ყველაფერს ერთიანად დავალაგებ მაგიდაზე და ისე შევიტან სტუმრებთან; ოთახიდან სამზარეულოში სიბრბილი აღარ დამჭირდება, — ისევ ბავშვით ხმადაბლა იმართლებს თავს თვალმდებარე ვენერა.

— ღმერთო ჩემო! — განწირული ხმით შესძახებს ერლომი.

— თანაც, იაფი ღირდა, სულ რაღაც ოცი მანეთი, — ვენერა ცდილობს თავიდან აიცილოს მეუღლის მონოლოგი, რომ მას ვალები აქვს და რაც ცოლი შეერთო, მას შემდეგ ვალებისთვის თავი ვერ დაუღწევია. მე შევეცადე ერლომი დამერწმუნებინა, რომ ასეთი მშვენიერი მაგიდა ნამდვილი განძია, ბედის საჩუქარი, და თუ მოინდომებს, შეუძლია ბევრად ძვირად გაყიდოს კიდევ. ერლომი უიმედოდ ჩაიქნევს ხელს და თავის ოთახში გადის. რამდენიმე წუთის შემდეგ ბრუნდება, მიახლოვდება და გულში ჩამწვლომი ხმით მეკითხება:

— მითხარით ერთი, ეს ნივთები რაში გვჭირდება?

— ლამაზია, — მხარს ვუბამ ვენერას.

— რა არის ლამაზი?

— ყველაფერი ეს, — ჰაერში ხელი შემოვავლე ჭალს, შანდლებს, მაგიდას.

— ო, ღმერთო! ჩვენ ამის მსგავსი არაფერი

დინა რატნარი ფილოსოფიურ მაცნობარებათა დოქტორი, მწერალი. მოღვაწეობს იერუსალიმში. იგი ჰართული მწერლობის მემოზარია. მის კალამს ეკუთვნის არაერთი გამოკვლევა ჰართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებზე.



გვჭირდება. ხომ გესმით? — მკვეთრად შებრუნდება ცოლისკენ და იმეორებს: — არაფერი!

— კი ბატონო, — თვინიერად ეთანხმება ვენერაც. მაგრამ შემდეგ ერლომს ხასიათი ახალმა ჩეხურმა სკამებმა გაუფუჭა.

— კი მაგრამ, სტუმრები რომ მოდიან, რაღაცაზე ხომ უნდა დასხდნენ? — ვენერა უცოდველი თვალებით შეჰყურებს ერლომს.

— ადრე როგორ იყო? ნეტა, რაზე სხდებოდნენ?

— ის სკამები დაძველდა და უკვე საკმაოდ სათაკილოცაა.

— მართალია, სათაკილოა, — ვუდასტურებ მეც.

— ო-ო-ო, — კვენისის ერლომი და ხელებს თავზე იტაცებს.

თუმცა, მათი ნაკინკლავების მხოლოდ ეს ერთადერთი საბაბი არსებობს, სხვა დანარჩენ შემთხვევებში ცოლი ყოველთვის წინდანიწვე ცდილობს თავისი მეუღლის სურვილების ამოცნობას. ყოველდღე ურცხავს და უუთოვებს მის საყვარელ ყვითელ პერანგს, დილაობით თაფლიანი შერის ბურღულის ფაფით უმასპინძლებს. მისი მოსვლის დროისთვის კი ყოველთვის სახლში ხვდება, რადგან ერლომს არ უყვარს ცარიელ სახლში შემოსვლა. აი, დღესაც, ვენერა არ გამოიყვანა ქალაქში, რადგან ერლომს ელოდა.

— ცარიელ სახლში დაბრუნებას ვერ იტანს, — მიხსნის ის.

— ნეტა, ვინ იტანს?

**თარგმანი ლია ყანჩაველისა (გაგრძელება იქნება)**

მეუღლე — ისაკი, შვილი — გია, რძლები — ინგა, ნანა, ეკა დავარაშვილები, სიძე — რომა პაპისმედოვი, შვილიშვილები: ნელიკო, ზაზა, ზიზი, ირაკლი, შვილთაშვილები, მული — ფრიდა ხუხაშვილი, მახლი — ილია დავარაშვილი ოჯახებით იუწყებიან

**წალი მირილაშვილი-დავარაშვილის**  
გარდაცვალებას (ისრაელში).



მალხაზ ბათიაშვილი იუნყება ძვირფასი — მძახლის

**წალი დავარაშვილის**  
გარდაცვალებას და გამოთქვამს ღრმა გულსტიკვილს ღირსეული პიროვნების დაკარგვის გამო.

ნორა, ბესო, ბელა, რომან მიხელაშვილები, ნათელა, ილო დათო, ნინო წინუაშვილები, ციალა, გურამ ბათიაშვილები იუნყებიან ძვირფასი პიროვნების — მძახლის

**წალი დავარაშვილის**  
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ღრმად დამწუხრებული ლანა და გურამ ხარაზიშვილები შვილებთან ერთად იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ყველასთვის საყვარელი

**ღამით (ღამით) ჯანაშვილი**  
და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს — მარინას, შვილებს იოსის, არონს და ავის, და-ძმებს ოჯახებით.

**დაგვუპნებელი და გამოცემელი:**  
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, ვახტანგ VI ქ. №30  
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

**რედაქტორი:**  
ბურამ ბათიაშვილი  
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557  
9771987898003

**რედაქტორი:**  
ქ. თაბილიძის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რედაქტორი № 4/1-921